საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით

შაბათი 29 იანვარი 1921 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი, განცხადების ფასი [illegible]რდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, [illegible] დზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ტფილისს ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—83

№ 21 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 21.

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: დედა ოლღა, მამა გრიგოლი, ძმები: ვალოდია და დათიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველი და მეორეს შვილი და დანარჩენების დაუვიწყარი ძმა

მიხეილ (მიშიკო) გრიგოლის ძე ჟორაძე,

გამოსვენება მოხდება კვირას, 30 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარი ბინიდან, ქუთაისი, (მწვანეყვავილა, გელათის ქუჩა). (ო—2 1).

კვირას იანვრის 30-ს სამხედრო ტაძარში (რუსთ. პროსპექტი) გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მოსკოვში გარდაცვლილ მღვდლის

კირილე პავლეს ძე პისკუნოვის (პეტროვის)

სულის მოსახსენებლად, რასაც აცნობებენ გულდამწვარნი მისი სიდედრი მაგდანა ივანეს ასული აბრამოვისა, ცოლის დები ნინა ლაზარეს ასული მამნიევისა ქალით თამარა იოსების ასული, მართა ლაზარეს ასული გუგუშოვისა ქმრით ლავრენტი ივანეს ძე და შვილებით და ეკატერინე ლაზარეს ასული ბუცენ—ბერლინსკისა შვილით ქორქაკათი. (359—1—1)

გულდამწვარი და ღრმად დამწუხრებული მშობლები ეკატერინე ნიკოლოზის ასული და ნიკო ილიას ძე ბერეჟიანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ წმინდა ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია წლის თავის წირვა და პანაშვიდი უძვირფასესი და დაუვიწყარი შვილის

ქეთოს

სულის მოსახსენებლად 29 იანვარს დილის 11 საათზე. (358—1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე [illegible], შვილები: ქსენია, მარია, მატრონე, ვალერიან, დედა ფედოსი, ძმები: რაჟდენ, სერგო და ტროფიმე, რძლები: მარო და მარო, დები: ოლინკა და ოლღა, ბიძა მოსე და ბიცოლა მატატი შვილებით აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავებს და მეგობრებს. რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. ფოთში მათთვის საყვარელი

არსენ ლუკას ძე მჟავანაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ბასილეთის წმინდა ვასილის ეკლესიაზედ კვირას 30 იანვარს ახალი სტილით (353—2—1)

ღრმად დამწუხრებული დედა თებრო, ცოლი ნინო წამალაშვილები დეიდები: დარო, ანეტა, რძალი ალექსანდრა მუნჯიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ვიკტორ ალექსის ძე წამალაშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება აქ ქაშვეთის ეკლესიაზე კვირას, 30 იანვარს ახალი სტილით. (355—2—1)

დავით დიმიტრის ძე და ეკატერინე ნიკოლოზის ასული წერეთლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ძვირფასი შვილის

დიმიტრის (მოკასი)

გარდაცვალების წლის წირვა და პანაშვიდი იქნება 29 ამა იანვარის 12 საათზე ვერაზე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში.

ნაძალადევის ქალაქის სამკურნალოს ექიმი ნესტორ მიხეილისძე კომიაშვილი, ფარმაცევტი მარიამ კონსტანტინეს ასული ნარსია, ბებიაქალი რახილი კონსტანტინეს ასული სვანიძისა, ღრმად დამწუხრებულნი აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 25 იანვარს უდროოდ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი და საუკეთესო ამხანაგი ექიმის თანაშემწე

ვიკტორ ალექსის ძე წამალაშვილი

გამოსვენება კვირას 30 იანვარს საკუთარ ბინიდან ნაძალადევი ბასენის ქუჩა № 22 დილის 9 საათზედ ივერიის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 365—1—1)

ქალაქების საყურადღებოთ

გაზეთ „ერთობის“ სტამბა ამზადებს ხელმისაწვდომ ფასებში აღწერითი და პირადობის

ბარათებს

დაკვეთა სასწრაფოთ მზადდება. (3—3)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

შაბათს, იანვრის 30-ს

მეორედ

სამშობლო ლიტანიით

დარჩენილი ბილეთები კასაში.

კვირას, იანვრის 30-ს

მეოთხედ

ბერდო-ზმანია

ყველა ბილეთები გაყიდულია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (ნ. 2—2)

სახელმწიფო ოპერა

კვირას, 30 იანვარს

ბოჰემა

ორშაბათს 31 იანვარს დონ-ჟუანი. სამშაბათს 1 თებერვალს ღალატი. ოთხშაბათს 2 თებერვალს სიმფონიური კონცერტი. (ნ. 1—1)

ტფილისის 4 ამქართა კავშირის გამგეობა: იუველირების, გრავერების, მევერცხლეების და მესაათეების

ამით აცნობებს ზემოთ ხსენებულ პროფესიის ხელოსანთა და მაღაზიის პატრონთ რომ შაბათს 29 იანვარს, შესდგება შემოწირულებების შეკრება ფრონტის სასარგებლოთ, გამგეობას მტკიცეთ სწამს, რომ თითოეული მოქალაქე სცნობს რა თავის მოქალაქობრივ მოვალეობას სამშობლოს წინაშე, სიყვარულით მოეკიდება ამ მშვენიერ და გადაუდებელ საქმეს, ჩვენი მეომრების დახმარებისას რომელნიც თავის მკერდით იცავენ ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას და პატიოსნებას და ჩვენ სიმშვიდეს. შემოწირულებების მომკრეფი კომისიას ექნებათ სათანადო მანდატები.

(351—1—1) გამგეობა:

სახელმწიფო დრამის თეატრი

რუსული დრამა

მ. ი. ფიზოვისა.

ოთხშაბათს, თებერვლის 2-ს

ბენეფისი რეჟისორ

ალექ. ალექსანდრეს ძე ტუგანოვისა

პიესა ა. ი. სუმბათაშვილი—იუჟინისა

ჯენტლმენი

ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღ. 7 ნახ. ს. (ნ. 2—1)

ახალის ტალახით სამკურნალო

ექიმ

მ. ს. ზერნოვისა

კირპიჩნი შესახვევი № 13, ბელინსკის ქუჩასთან. (22 თებ.)

პროვოკაციის ხანა

მეტის მეტად აზირებული დამოკიდებულება დამყარდა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის შორის. ჩვენ რუსეთთან ზავი გვაქვს და ჩვენი ურთიერთობა მასთან განისაზღვრება ხელშეკრულობით, მარა ეს, ასე ვთქვათ, ქაღალდზე, სინამდვილეში კი სულ სხვას ვხედავთ. ხელშეკრულობა სისტემატიურათ ირღვევა და ირღვევა ცალმხრივათ, მეორე მხარის მიერ.

თითქო მოსკოვი განწყობილია იმის სასარგებლოთ, რომ ჩვენთან მეგობრული ურთიერთობა ქონდეს. მარა მისი ადგილობრივი წარმომადგენლები არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, რომ დამოკიდებულება გაამწვავონ და კონფლიქტი გააღრმავონ. აქამდი ამას ისინი ჩადიოდენ მოსკოვისათვის ყალბი ინფორმაციის მიწოდებით და რესპუბლიკის მტრული ელემენტების მხარის დაჭერით. მარა დღეს ამითაც არ კმაყოფილდებიან და ჩვენ მოწამე ვხდებით აშკარა პროვოკაციის და დაუშვებელი მოთხოვნილებების წამოყენების.

როგორც გადმოგვცემენ, ბ. შეინმანი მოითხოვს, რომ მოსკოვში გასაგზავნი ტელეგრამები ჩვენმა მთავრობამ მხოლოდ მისი შემწეობით გაგზავნოს. მისი ბრძანებით კავკავისა და ბაქოს ხაზზე არ იღებენ ჩვენს ტელეგრამებს. ამავე დროს ის თითონ სარგებლობს ცალკე მავთულით ჩვენს ტერიტორიაზე და პირდაპირი დამოკიდებულება აქვს თავის მთავრობასთან.

რას ნიშნავს ეს? რომელი მოსაზრებით შეიძლება გამართლდეს ასეთი მოთხოვნილება?

მარა საბჭოთა რუსეთის ადგილობრივი წარმომადგენლები ამითაც არ კმაყოფილდებიან. ჩვენ ხელთა გვაქვს დოკუმენტი, რომლიდანაც ჩანს, რომ რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩვენს ჯარს აბრალებს ფრონტზე მშვიდობიანობის დარღვევას და წითელი არმიისათვის სროლის ატეხას. მარა ამასთან ერთად, ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ არაფერს ამის მსგავსს ადგილი არ ქონებია და ეს ამბავი თავიდან ბოლომდე გამოგონილია. ცხადია, ეს ადვილათ დამტკიცდება და პროვოკაციას ამ შემთხვევაში ფარდა აეხდება. მარა აქ გვაინტერესებს ჩვენ მეორე საკითხი: როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

შესაძლებელია თუ არა შევურიგდეთ იმას, რომ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლობამ, რომელიც აქ წარმოგზავნილია მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლათ, სისტემატიურათ აწარმოოს აშკარა მტრული პოლიტიკა და ხელი შეუწყოს რესპუბლიკის მტრების მუშაობას. სად გაგონილა ასეთი წარმომადგენლობა?

ეს კითხვა უნდა დაისვას საქართველოს მიერ საბჭოთა რუსეთის წინაშე და ერთხელ და სამუდამოთ გადაწყდეს იგი, თუ საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრული ურთიერთობაა. თუ ჩვენი დამოკიდებულება უნდა განსაზღვროს მოსკოვში დადებულმა ხელშეკრულობამ და შემდეგმა ხელშეკრულობებმა, მაშინ უნდა იყოს ორივე მხარის სურვილი მათი დაცვის და განხორციელების და ეს პირველ ყოვლისა უნდა გამოიხატოს ისეთი წარმომადგენლობის შექმნით, რომელიც გულწრფელათ იქნება მოწადინებული კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდეს ჩვენსა და საბჭოთა რუსეთს შორის.

ლიონის ცნობა

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება მეტად საყურადღებო ცნობა ლიონის რადიო-სადგურის, რომელიც ეხება საქართველოს რესპუბლიკის არსებით საკითხს, მის დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობას. ეს არ არის ოფიციალური ხასიათის, მაშასადამე, საკითხის არსებითად განსახილველად ჩვენ უნდა მოვუცადოთ დამატებით მასალებს. სადგური ლიონი გვატყობინებს, რომ კონფერენცია თანხმაა საქართველოს ცნობის, „თუ ის სათანადო სურვილს გამოსთქვამს.“ თუ ეს მართალია, პრინციპიალურად საკითხი გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. მოკავშირეთა აზრთა სხვადასხვაობას ბოლო მოეღებია. რაც შეეხება სათანადო სურვილის გამოთქმას,—ეს ეხება ფორმას. ასეთი სურვილის გამოთქმა საქართველოს მხრივ ოფიციალური მიმართვით კონფერენციისადმი, სანამ ევროპაში ეთნაირ რყევას განიცდიდენ ჩვენი საკითხის გამო, არ იყო ხელსაყრელი ჩვენთვის ხოლო, თუ კი კონფერენციას პრინციპიალური თანხმობა განუცხადებია ჩვენს ცნობაზედ, მაშინ სათანადო სურვილის გამოთქმა, საერთაშორისო ადათით მიღებულ ფორმებში, რასაკვირველია არავითარ დაყოვნებას არ გამოიწვევს

ბ. თეკლათელი.

ირაზმებიან

ვინ ირაზმება? სანამ ამას გავაცნობდეთ ჩვენს მკითხველებს—ჯერ გავიგოთ, რისთვის ირაზმებიან? ამის პასუხს იძლევა გაზეთი „საქართველო“.

„საქართველოს სახელმწიფომ რაც შეიძლება მალე თავი უნდა დააღწიოს არსებულ სახელმწიფო და სოციალურ წესებს“.. „საქართველოში ამ ჟამ დიდ უნდა აღკვეთილ იქნეს ყოველივე ნასახი სოციალიზაციისა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით“. (№ 20).

აი რისთვის ირაზმებიან, აი რა მიზანს ისახავს ის გაერთიანება, არა სოციალისტური პარტიებისა, რომელიც ამ ჟამად ტფილისში ხდება.

„თავის დაღწევა არსებული სახელმწიფო და სოციალური წესებისაგან“—ნიშნავს არსებული წესების მოსპობას. „აღკვეთა სოციალიზაციის ყოველივე ნასახის“—ნიშნავს დღევანდელი პოლიტიკის და კანონმდებლობის საფუძვლით მოსპობას. ერთი სიტყვით უნდა მოისპოს და, ისიც ახლავე, როგორც ფორმა რესპუბლიკის მართვა გამგეობისა, ისე მისი შინაარსი და ამის ცხოვრებაში გატარებას კისრულობენ ახლად გაერთიანებული არა სოციალისტური პარტიები!

მოდი და ნუ გაიხსენებ იმ ჭინჭრაქას, რომელიც ასე ტრაბახობდა:

— ზღვას დავწვავ...

რომ ეს ჭინჭრაქა პარტიები ვერც არსებულ წესებს შესცვლიან და ვერც „სოციალიზაციის ყოველივე ნასახს“ მოსპობენ—ეს ისედაც ცხადია, მარა საყურადღებოა ის, რომ ეს ჯენტლმენები ერთდებიან და ასეთი მიზნებით გამოდიან სწორეთ მაშინ, როცა ასე გართულებულია ჩვენი საგარეო და საშინაო საქმეები; როცა ასე საჭიროა ყველა ცოცხალი ძალების დარაზმვა ქვეყნის გადასარჩენათ, როცა საფრთხეშია ჩავარდნილი არა მხოლოდ „წესები“ და „სოციალიზაცია“, არამედ თვით რესპუბლიკის არსებობა, რომელსაც ასე მუხანათურათ თავს დასტრიალებს ტლანქი ხმალი მძლავრი მეზობლებისა! აი ასეთი საბედისწერო მომენტი აირჩია ჩვენმა არა სოციალისტურმა პარტიებმა „არსებული წესების“ და „სოციალიზაციის ყოველივე ნასახის“ მოსასპობათ და მათ სჯერათ, რომ დღევანდელი მომენტი იმდენათ ხელსაყრელია მათთვის, რომ ისინი ამას შეძლებენ! რომ ყოველივე ეს იგივე ჭინჭრაქას ზღაპარია, ამაში მალე დარწმუნდებიან თვით ეს პარტიები და თუ ჩვენ მაინც მივაქციეთ ამას ჩვენი მკითხველის ყურადღება, ეს იმიტომ რომ ჩვენმა დემოკრატიამ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ მას ყავს მტრები არა მარტო საგარეო ფრონტზე, არამედ შიგნითაც და ეს ავალებს მას იყოს ფრთხილი დარაჯი მოპოვებული უფლებისა და იმ სახელმწიფოებრივი წესებისა, რომელიც შექმნა და დაამკვიდრა მან ასეთი შრომით და ვაი-ვაგლახით.

განი.

დამფუძნებელი კრება

21 იანვრის სხდომა.

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

ეგ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები რამდენიმე წინა სხდომაზე მიღებულ დეკრეტებისა.

განხილვა ტყვარჩელის ქვანახშირის კონცესიისა.

კონცესიის შესახებ დამფუძნებელ კრებას მოახსენებს **გრ. რცხილაძე**; მომხსენებელი აღნიშნავს დიდ სერიოზულობას ამ საკითხისას, რადგან ამ აქტის დადასტურებით საქართველოს უდიდესი სიმდიდრე ტყვარჩელის ქვანახშირი გადაეცემა უცხოელებს საექსპლოატაციოთ. მომხსენებელი ეხება ქვანახშირის აღმოჩენის ისტორიას და აგრეთვე ნახშირის ანალიზს, რომლის მიხედვითაც ტყვარჩელის ქვანახშირი არ ჩამოუვარდება თავის ღირსებით ინგლისის საუკეთესო ქვანახშირს. მისი რაოდენობაც ძლიერ დიდია, მაგრამ განსაზღვრული კი ჯერ არ არის. საქართველოს ეკონომიურ მასიამ, რომლის ევროპაში გამგზავრების მიზანი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება შეადგენდა,—იზრუნა ამის შესახებ და დასდო ხელშეკრულობა იტალიის მრეწველებთან 11 ოქტომბერს. ეს ხელშეკრულობა სავალდებულოა იტალიისათვის, მაგრამ საქართველოსათვის სავალდებულო ის მხოლოდ მაშინ გახდება, როცა მას დაამტკიცებს დამფუძნებელი კრება. ამისთვის მოცემული არის ოთხი თვის ვადა.

შემდეგ ორატორი ვრცლად ეხება კონცესიის პირობებს, კონცესიონერების და საქართველოს უფლებებსა და მოვალეობებს. ეს პირობები ხელსაყრელია საქართველოსათვის და ამიტომ ის მიღებულ უნდა იქნეს დამფუძნებელ კრების მიერ. ბოლოს ორატორი ეხება ქვანახშირის პოლიტიკურ მნიშვნელობას—ვისაც აქვს ქვანახშირი, ის ძლიერია; ეს კარგად გამოჩნდა მსოფლიო ომის დროს; ის ქვეყნები, რომლებსაც ნახშირი აკლიათ, ხშირათ იძულებულნი არიან შეუთანხმონ თავისი პოლიტიკა სხვა ქვეყნების პოლიტიკას. საქართველოს აქვს თავისი ქვანახშირი; მას რომ შეეძლოს მისი დამუშავება,—ეს მეტად კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს საქართველოს არ შეუძლია და ამიტომ ერთად-ერთი გზა არის—უცხოეთის კაპიტალის დახმარებით მისი დამუშავება.

ლ. შენგელაია. (ს.-რ.) დღევანდელ დღეს ჩვენ დიდი მწუხარებით ვხვდებით, დღეს მხოლოდ ჩვენი მტრები ზეიმობენ. მოდის ახალი ძალა, უცხოეთის კაპიტალი. ჩვენმა უცხოეთში გაგზავნილმა არგანიზაციებმა ოქროს ნაცვლად მოიტანეს საქართველოს დამონების ქაღალდი. ჩვენს წინ დღეს სდგას საკითხი ფაქტიურ დამოუკიდებლობისა, რადგან ეს ხელშეკრულება მხოლოდ პირველი მაგალითია და მას ბევრი სხვა ასეთები მოჰყვება.

ორატორის აზრით ამ კონცესიის გაცემა გამოხატულებაა სოციალ-დემოკრატიის სრული კრახის, მისი პროგნოზების არ გამართლების. მას ეხლა უცხო კაპიტალის მოწვევა უხდება ქვეყნის აღორძინებლად. ის ეხლა ეძებს სასიძოს.

მაგრამ ეს სასიძო, რომელიც აქ მოდის, მოხუცებულია. მან უკვე მოსჭამა იქ თავისი დრო. ეხლა სდგება ახალი ხანა —კოლექტივიზმის ხანა და ამიტომ ეს პრინციპი ხელშეკრულებისა—კონცესიების გაცემისა მიუღებელია ჩვენთვის.

ორატორს საზიანოდ მიაჩნია კონცესია, მიუხედავათ იმისა, რომ გარეგნულად კონცესია დიდ შეღავათებს აძლევს საქართველოს. ის ეხება ხელშეკრულების რამდენიმე მხარეს და დაასკვნის, რომ არც ერთი თვალსაზრისით არ არის იგი მისაღები. ამიტომ ესერების ფრაქცია ამის წინააღმდეგ მისცემს ხმას.

თედო ღლონტი (ს.-ფ.) აცხადებს, რომ მისი ფრაქცია არ არის პრინციპიალურად კონცესიების გაცემის წინააღმდეგი, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ვერ არის კარგათ შედგენილი და მას შეუძლია საგრძნობი ზარალი მიაყენოს ეროვნულ ეკონომიკას. ჩვენ არა პრინციპიალურად უარვყოფთ კონცესიების საჭიროებას,—ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია უცხოეთის კაპიტალის დახმარება, მაგრამ ეს ხელშეკრულება ვერ არის სათანადოთ შედგენილი, ამბობს ორატორი.

ორატორი აკრიტიკებს ჩვენს ბურჟუაზიას, რომელიც მეტად სუსტია, მხოლოდ სპეკულიაციას მისდევს და წარმოებისათვის კი ხელი ვერ მოუკიდია. ამის გამო სახელმწიფო იძულებული ხდება კონცესიები გასცეს. თვით ტყვარჩელის ხელშეკრულების წინააღმდეგ ორატორი სასტიკათ ილაშქრებს; იგი არჩევს რამოდენიმე მუხლს და ასკვნის, რომ კონცესია საქართველოს უფრო მეტ ზიანს მოუტანს, ვიდრე სარგებლობას. ამ ექსპლოატაციის გრძელი ვადის განვლის შემდეგ მთელი ეს მადაროები ამოცარიელდება. და თვით საქართველოს ცარიელი მანქანები და დარჩება. ხოლო თვით ის რაოდენობა ქვანახშირისა, რომელსაც კონცესიონერები აძლევენ საქართველოს,—სრულიადაც ვერ დააკმაყოფილებს საქართველოს საჭიროებას და საქართველოს მოუხდება ქვა-ნახშირის ძიება. ეს კი მეტად ცუდათ იმოქმედებს საქართველოზე.

ამ მოსაზრებების გამო, აცხადებს ორატორი, სოც.-ფედერალისტთა ფრაქცია ხმას მისცემს ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ.

შემდეგ ლაპარაკობს ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი. მისი სიტყვის სტენოგრაფიულ ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

მოკავშირეთა კონფერენცია და ახალ სახელმწიფოთა საკითხი

(ფრანგული ცნობებიდან).

ლიონი. 27 იანვარი. პარიზში შემდგარ მოკავშირეთა კონფერენციაზე სამშაბათ საღამოს გადაწყდა მოიწვიონ ლონდონში ახლო ხანში მოკავშირეთა დელეგატების კონფერენციის სხდომა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ბერძნებისა და ოსმალების წარმომადგენლები აღმოსავლეთის საკითხის მოსაწესრიგებლად.

ოთხშაბათს დილით კონფერენციამ მოისმინა ფინანსთა მინისტრის დუმერის მოხსენება ანაზღაურების საკითხის შესახებ. აღნიშნული მოხსენება დაბეჭდილი იქნება დღის წესრიგში მას შემდეგ, რაც დუმერი კონფერენციას დამატებით დოკუმენტებს წარუდგენს. ოთხშაბათს, იანვრის 26-ს, საღამოს კონფერენციამ გადასწყვიტა დასთანხმდეს ესტონეთისა და ლატვიის უფლებრივ აღიარებაზე. **ლიტვის უფლებრივი ცნობა გადადვეს ვილნოს საკითხის მოწესრიგებამდე,** რომლითაც ასე დაინტერესებულია იგი ამ ჟამად.

კონფერენციამ თანხმობა განაცხადა საქართველოს ცნობაზე, თუ ეს უკანასკნელი სათანადო სურვილს გამოსთქვამს. (სდს).

საქართველოს ს.-დ. მუშ. პარტიის ცენტ. კომიტეტისაგან

თანახმად პარტიულ კონფერენციის დადგენილებისა ც. კ. აცხადებს, რომ თუ ის ამხანაგები, რომელნიც „ახალ სხივში" თანამშრომლობდენ ან ამ ჯგუფის სახელით პარტიულ კონფერენციაზე და დამფ. კრების ს.-დ. ფრაქციაში გამოდიოდენ,—ამ წლის პირველ თებერვლამდე არ განუცხადებენ ცენტრ. კომიტეტს, რომ მათ უკვე გასწყვიტეს ყოველივე კავშირი ანტი-პარტიულ ორგანო „ახალ სხივთან",—პარტიიდან გასულათ ჩაითვლებიან და დაჰკარგავენ მანდატს, რომლითაც ისინი პარტიამ აღჭურვა.

ამასთან ცეკა აცხადებს, რომ აზრთა სხვადასხვაობას პარტიაში ადგილი მიეცემა თანახმად კონფერენციის დადგენილების მესამე და მეოთხე მუხლისა.

ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის კონფერენცია

20 იანვრის დილის სხდომა

(გაგრძელება)

პირველად თავმჯდომარე მოახსენებს კონფერენციას, რომ შემოსულია ამხ. დ. ხარითიშვილის განცხადება, რომელშიაც იგი სთხოვს კონფერენციას განიხილოს მისი საქმე. კონფერენციამ განცხადება განსახილველად გადასცა ცენტრალურ კომიტეტს.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. ხომერიკი მომავალ საარჩევნო კომპანიის შესახებ.

ამხ. ნ. ხომერ-კის მოხსენება. ამხანაგებო! მალე უნდა მოხდეს რესპუბლიკის ქალაქებისა და ერობების არჩევნები. კონსტიტუციის განხილვის შემდეგ დამფუძნებელი კრებაც დაიშლება და პარლამენტის არჩევნები დაინიშნება.

ასე რომ მიმდინარე წელიწადი იქნება არჩევნებისა და დიდი პოლიტიკური კამპანიების წელიწადი.

პარტია ჯეროვანათ უნდა მოემზადოს ამ მომენტისათვის, ის ერთნაირი ყურადღებით უნდა მოეკიდოს როგორც საქალაქო და საერობო, ისე საპარლამენტო არჩევნებს. ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობის სისტემაში ერობებსა და ქალაქებს მეტად დიდი და საპატიო ადგილი უჭირავთ. ისინი არიან საფუძველი სახელმწიფოს და გამგენი და პატრონნი ადგილობრივი ცხოვრების. ამიტომ ვინც აქ გაიმარჯვებს, დაბოლოს სახელმწიფო ცხოვრების საჭეც მის ხელში იქნება. გარდა ამისა, საქალაქო საერობო არჩევნები პოლიტიკური პარტიებისათვის აუცილებლათ იქნება გენერალური რეპეტიცია შემდეგი—საპარლამენტო არჩევნების წინ. აქ გამოირკვევა დაახლოვებით, თუ როგორია ამრჩეველთა ფართო წრეების სიმპატია ანტიპატია. ვის პოლიტიკურ ხაზს იზიარებს იგი, რომელ პარტიას ანდობს ქვეყნის სვებედს. აქ მოხდება პირველათ პოლიტიკური ეგზამენის დაჭერა. ამიტომ მუნიციპალურ არჩევნებში ჩვენ ისეთივე ბეჯითობა და ენერგია უნდა გამოვიჩინოთ, როგორც საპარლამენტო არჩევნებში. ჩვენში არ შეიძლება ბატონობდეს ერთი პარტია ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებში, ხოლო მეორე პარტია პარლამენტში და მთავრობაში. ამიტომ ორივე ეს არჩევანი ჩვენი პარტიისათვის ერთნაირათ საინტერესონი და საყურადღებონი არიან.

არჩევნები ჯერ დანიშნული არ არის, მარა თუ დააკვირდებით, საარჩევნო კამპანია ფაქტიურათ უკვე დაწყებულია. მემარჯვენე ჯგუფები ერთდებიან და ადგენენ ერთ მთლიან ბანაკს. ეს ხდება უმთავრესათ სოციალდემოკრატიის ჰეგემონიის შესუსტების მიზნით. ისინი მთლიანი ფრონტით წამოვლენ ჩვენს წინააღმდეგ, მარა მარტო ესენი არ იქნებიან ჩვენი მოპირდაპირენი. დანარჩენ პარტიებსაც არა ნაკლები სურვილი ექნებათ ჩვენი დამარცხების. მოსალოდნელია აგრეთვე, რომ მომავალ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი კომუნისტებიც.

ყველა ეს ჯგუფები და პარტიები მიზანში ამოიღებენ სოციალ-დემოკრატიას, მის წინააღმდეგ მიმართავენ ისინი თავის ორგანიზაციულ აპარატს, მთელ თავის მატერიალურ და გონებრივ ძალებს; სოციალ-დემოკრატიას დაუპირდაპირდება ყველა, როგორც მართველ და ყველაზე უფრო ძლიერეს პოლიტიკურ პარტიას. და სოციალ დემოკრატიამ უნდა მოიგერიოს ეს იერიშები, გაუმკლავდეს ყველა მოპირდაპირეთ და საჭიროების დროს თითონვე მათზე იერიშით მივიდეს.

ეს კი მოითხოვს ყველა ჩვენი ძალების მობილიზაციას, პარტიულ ორგანიზაციების გამოცოცხლებას და თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ საომარ ფეხზე დაყენებას.

ადგილობრივი ორგანიზაციები არ არიან ცენტრთან მჭიდროთ დაკავშირებული, იშვიათად აქვთ მასთან მიწერ-მოწერა, ნაკლებათ აძლევიან თავის მუშაობის ანგარიშს და სხვ. ცენტრალური კომიტეტი აქცევს ამას ყურადღებას და განზრახვა აქვს ამ ახლო მომავალში უფრო დაუახლოვდეს ადგილობრივ ორგანიზაციებს, მოახდინოს მათი ძალების რეგისტრაცია და დაუკავშირდეს მათ ყოველდღიურ მუშაობის პროცესში, ხშირ-ხშირად აძლიოს დირექტივები და იყოს ადგილობრივი მუშაობისა და საჭიროების კურსში. ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად, სხვათა შორის, ცენტრალურ კომიტეტთან იქნება რამოდენიმე გამოცდილი პარტიული მუშაკი, რომელთა სპეციალური მოვალეობა იქნება ორგანიზაციების ჩამოვლა, მათი მუშაობის ერთ გეგმაზე აწყობა და ცენტრთან დაკავშირება.

მოგეხსენებათ, ეს ერთი ხანია პარტიული მუშაობა ძალზე მოდუნდა. ჩვენი ორგანიზაციები ცხოვრებას კვალ და კვალ ვეღარ მისდევენ, მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხების თავის დროზე გარკვევაში მოისუსტებენ და უფრო ტეხნიკურ საქმეების მოგვარებას უნდებიან. ცენტრალური კომიტეტი ფიქრობს, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიურ მოღვაწეობაში მეტი პოლიტიკური და იდეური შინაარსის ჩადებაა საჭირო.

ხშირათ უდიდესი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხები უყურადღებოთ რჩება. აღსანიშნავია ის, რომ ჩვენი ორგანიზაციები პოლიტიკური კამპანიების ჩატარებას ნაკლებათ არიან ჩვეული. ყოველ მომენტს აქვს თავისი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც ყველა დანარჩენ საკითხებისაგან გამოირჩევა და ყველაზე წინ დგება. პოლიტიკური მოღვაწეობისა და ბრძოლის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ პარტიამ და მისმა ორგანიზაციებმა ეს კითხვები გამოარჩიონ, მომენტის მოთხოვნილება შეიგნონ და ასე კონკრეტიული საკითხების გარშემო მთელი პოლიტიკური კამპანიები ჩაატარონ. ეს აუცილებელია, თუ გვინდა, რომ ჩვენი პარტია თავის სიმაღლეზე იდგეს.

ჩვენ დღეს მმართველი პარტია ვართ. ჩვენ ხელშია სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი. ამ დაწესებულებების სახელმძღვანელოთ და იქ სამუშაოთ პარტიას წარგზავნილი ყავს თავისი საუკეთესო ამხანაგები. ეს ამხანაგები იქ დიდ მუშაობას ეწევიან. მარა უმეტეს ნაწილათ ამას აკეთებენ ისინი თავისი საკუთარი რისკით, ვინემ პარტიის კარნახით. პარტიული ორგანიზაციები ნაკლებათ ეცნობიან ამ მუშაობას, საჭიროა კი, რომ ეს ამხანაგები პარტიიდან იღებდენ საერთო დირექტივებს და უკანასკნელი [illegible] მათი მუშაობის კურსში იყვენ. მრავალი საყურადღებო და სერიოზული კითხვა ისმება და წყდება ამ დაწესებულებებში. ამ საკითხების პარტიის მიერ გათვალისწინება პარტიას მთლიანათ მონაწილეთ გახდის სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ მართველობის საქმეში. ეს კარგი იქნება როგორც თვით პარტიისათვის, ისე იმ ამხანაგებისათვის, რომელნიც ადგილობრივ თვითმართველობებში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებში—პროფეს. კავშირები, კოოპერატივები და სხვ. მოღვაწეობენ. ამხანაგები და ამხანაგთა ჯგუფები, ფრაქციები აუცილებლათ უნდა აძლევდენ კუთვნილებისამებრ პარტიულ ორგანიზაციებს თავის მუშაობის ანგარიშს და იღებდენ მისგან საერთო დირექტივებს. ეს მით უფრო საჭიროა ახლა, როცა ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ კარგათ უნდა გაითვალისწინოს, თუ რა უკეთებია მის წარმომადგენლებს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მუშაობის სხვადასხვა დარგებში. თუ დღემდე ასეთი ურთიერთობა არ იყო დამყარებული პარტიისა და მის წარმომადგენლებს შორის, ახლა მაინც აუცილებელია, რომ ერობებში, ქალაქის თვითმართველობებში, პარლამენტსა და სხვა საზოგადო და სახელმწიფო ორგანოებში მომუშავე ამხანაგებმა წარუდგინონ თავიანთ ორგანიზაციებს თავისი მოღვაწეობის ანგარიში და მომავალი მუშაობის გეგმა.

აი, ამ საფუძვლებზე უნდა მოეწყოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობა. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო მომზადებული და უფრო დარაზმული გამოვიდეთ საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე.

ამ მუშაობას უნდა შველოდეს პარტიული პრესა და ბეჭდვითი აგიტაცია-პროპაგანდის სხვა საშუალებანი. პარტიული გამომცემლობა ეს ორი წელიწადია სრულიად შეწყდა. გარდა პარტიული გაზეთებისა, ჩვენ სხვა გამოცემანი არ მოგვეპოვება. გაზეთი ყველაფერს ვერ გასწვდება. დაუყონებლივ უნდა მოეწყოს საგიტაციო წიგნაკებისა და ფურცლების გამოცემა. უნდა განხორციელდეს აგრეთვე დადგენილება ჟურნალის გამოცემის შესახებ, სადაც მოთავსებული იქნება სოციალ-პოლიტიკურ თემებზე სერიოზული სტატიები მრავალი საკითხი, რომლის დამუშავებაზე ილვწიან არა ერთი და ორი ათეული ამხანაგები, ჩვენი ფართო პარტიული წრეებისათვის უცნობია. ამათი გამოქვეყნება ჟურნალისა თუ ცალკე წიგნაკების გამოცემის საშუალებით მეტ შინაარს მისცემს ჩვენს პროპაგანდა-აგიტაციას და გააძლიერებს პარტიის გონებრივ მუშაობას.

ამასთან ერთად პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ზეპირსიტყვით პროპაგანდა-აგიტაციას. მართალია, თავისუფალი ძალები ყველგან ძლიერ ცოტაა, მარა თუ ჩვენი პარტიის ინტელ. ძალები მიზან შეწონილათ იქნებიან გამოყენებული, ეს საქმე არც ისე ძნელი მოსაწყობია. სხვადასხვა ასპარეზზე მომუშავე ამხანაგებს არ შეუძლიათ ყოველდღე პარტიულ კრებებზე იარონ, მარა მათთვის ადვილია პარტიის ცალკე მინდობილობათა ასრულება და კვირაში ერთხელ რეფერატის, მოხსენების ან ლექციის წაკითხვა.

ორგანიზაციული და იდეური მუშაობის გაძლიერება და მომავალი საარჩევნო ბრძოლის წარმოება მოითხოვს დიდ ხარჯებს. ამისათვის საჭირო იქნება არა ერთი და ორი ათეული მილიონი მანეთი. ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე მოუწოდა პარტიულ ორგანიზაციებს შეუდგენ საარჩევნო ფონდის მოგროვებას. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამხანაგები არ უნდა დაკმაყოფილდენ იმ ერთდროული გადასახადით, რომელიც მხოლოდ საფუძვლად უნდა დაედვას ძლიერი საარჩევნო ფონდის შექმნას. პარტიულმა ორგანიზაციებმა ახლავე უნდა გამოყონ სპეციალური კომისიები, რომლებიც მუდმივათ იზრუნებენ საარჩევნო ფონდის გაძლიერებაზე, დიდ ყურადღებას მიაქცევენ შემოწირულებათა მოგროვებას და საერთოდ ხელიდან არ გაუშვებენ არც ერთ შემთხვევას მატერიალური საშვალებების გამოსანახავათ. ფული არჩევნების დროს იგივეა, რაც ბრძოლის დროს თოფის წამალი. პარტია ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას, თუ იგი საჭირო ნივთიერ სახსარს მოკლებული დარჩა. ამიტომ ძლიერი საარჩევნო ფონდის შექმნას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს.

მარა ჩამოთვლილ ღონისძიებებითა და საშვალებებით არ ამოიწურება საარჩევნო სამზადისი. თუ გნებავთ, ის რაც ვთქვით ეს უმთავრესი არ არის.

უპირველესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი იქნება საარჩევნო აგიტაციის შინაარსი, რა პლატფორმით გამოვა პარტია ერთი მხრივ მუნიციპალურ, ხოლო მეორეს მხრივ საპარლამენტო არჩევნებში.

ორ უმთავრეს მომენტს უნდა გაესვას ხაზი საარჩევნო აგიტაციაში: ერთია ის, თუ რა გააკეთა პარტიამ, როგორი იყო მისი მოღვაწეობა პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში და მეორე, რის გაკეთებას აპირებს ის მომავალში, როგორია მისი მომავალი მუშაობის პროგრამა. ერთი აღნიშნავს წარსულს, მეორე მომავალს.

მოწინააღმდეგე პარტიები შეუდგებიან იმის მტკიცებას, რომ სოციალდემოკრატიამ არაფერი მისცა ქვეყანას, რომ მისი ბატონობა ხალხისათვის მავნებელი იყო, რომ მან ვერ გამოიყენა ჩვენში არსებული და ჩვენს გარშემო შექმნილი პირობები რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობის გასამტკიცებლათ და მისი ეკონომიური ცხოვრების ასაღორძინებლათ. ისინი შეეცდებიან სოციალდემოკრატიას პასუხი აგებიონ ძველი წყობილების ცოდვების გამო, რომ ობიექტიური პირობებით შექმნილი გარემოებანი და ჩვენი ხალხის გაჭირვებანი მიაწერონ მის უმოქმედობას და სისუსტეს. ეს პარტიები ფართოდ ისარგებლებენ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოუწყობლობით, იმ ფინანსიურ ეკონომიური კრიზისით, რომელსაც ამ ჟამად რესპუბლიკა განიცდის. მემარჯვენე ელემენტები ამას ახსნიან იმით, რომ ჩვენ სოციალისტები ვართ და ამიტომ ეკონომიური ცხოვრების მოწყობა არ შეგვ ძლია. ხოლო ე. წ. მემარცხენე ჯგუფები ამის მიზეზს მონახავენ ჩვენს ნაკლებ სოციალისტობისა და რადიკალობაში.

რა შეგვიძლია ჩვენ დავუპირდაპიროთ ამ ორ მხრივ მოტანილ იერიშებს?

მართლაც, რა გაკეთდა ჩვენში სოციალდემოკრატიის პოლიტიკური ჰეგემონიის ქვეშ?

არა თუ მტრები, ზოგიერთები ჩვენს წრეშიაც დაეჩვია იმაზე ფიქრს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის არსებობის ხანაში ძალიან ცოტა გაკეთდა. ეს შთაბეჭდილება მუშავდება დღევანდელი პოლიტიკური (საგარეო) და ეკონომიური (შინაური) კრიზის გავლენით. რაკი ბევრი რამ რიგზე არ არის, ცხადია, სუსტი ვყოფილვართ თავის მუშაობაში მსჯელობენ ზოგიერთები. სოციალდემოკრატიამ დაანგრია ქვეყანა, შეხედეთ რა ნივთიერ მდგომარეობაშია რესპუბლიკა, რამდენი მტერი და ერთგული ყავს გარშემორტყმული—გაიძახიან ჩვენი მოპირდაპირენი.

(დასასრული იქნება)

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

28 იანვარი.

ფრანგული ცნობები

თავდასხმა ავარონიანზე.

გამომძიებლის მიერ დაკითხულმა ტერ-ზახარიანმა, რომელმაც მოახდინა თავდასხმა ავეტის ავარონიანზე, განაცხადა: უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმა მაიძულა შიმშილმა. მან დაუმატა, რომ მოვედი პარიზში, რომ მეცხოვრა პატიოსნათ, მაგრამ ჩემი შრომით ძლივს ვირჩენდი თავს და გადავწყვიტე ჩემისა და ჩემი კონტრ-პატრიოტების სახელით მეძია შური და მომეკლა პარლამენტის პრეზიდენტი, რომელიც სტოვებს სომხებს ქუჩაზე.

სამინისტროს ახალი კრიზისის მოლოდინში.

ლონდონი. 28 იანვ. ბრიტანეთის წარმომადგენლების აზრით წარმოუდგენელია მოვსთხოვოთ გერმანიას დიდძალი თანხის ოქროთი გადახდა, საქონლით ფართო მაშტაბში გადახდა კი სხვა ქვეყნებში უმუშევრობას გამოიწვევსო. ლოიდ ჯორჯმა აშკარად განაცხადა კონფერენციაზე, რომ ჩვენი მიზანი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მივიღოთ გერმანიისაგან ნახევრად დამუშავებული საქონელი და ხედლი მასალა და ამრიგად არ მივაყენოთ ზიანი მოკავშირეთა მრეწველობას. ამრიგად დაიბადა პირველი ანტაგონიზმი. ძნელია ორი მიმართულების შეთანხმება; მდგომარეობა რთულდება აგრეთვე იმ უთანხმოებით, რომელიც თვით ფრანგებში არსებობს. შეიძლება ეს იქნეს მიზეზი იმისა, რომ კონფერენციამ ვერ მიაღწიოს მიზანს. დუმერი მართალია, როდესაც აღნიშნავს საფრანგეთის მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას; თუ მალე არ იქნა მიღწეული შეთანხმება, მაშინ საეჭვოა გამოუცხადებს თუ არა ნდობას დეპუტატთა პალატა ბრიანს. ამ რიგათ მოსალოდნელია სამინისტროს ახალი კრიზისი. შეიძლება მთავრობის თავში მეორეთ წამოაყენონ პუანკარე, რომლის პოლიტიკა მით უფრო საშიში იქნება ანტანტისათვის. არ არის საჭირო აღვნიშნოთ ანტანტის მნიშვნელობა, მაგრამ იგი ამ ჟამად კრიტიკულ მომენტს განიცდის. გარდა ამისა, მილიერანს შეუძლია უარი განაცხადოს პუანკარეს მიღებაზე. ამისათვის მას აქვს პოლიტიკური და პირადი საფუძველიც. შეიძლება მოხდეს ორში ერთი: ან პრეზიდენტი გადადგეს, ან იქნეს დათხოვილი პალატა. პირველი და მეორე მოვლენაც საფრანგეთში მძიმე მდგომარეობას შექმნიდა, უფრო მძიმეს, ვიდრე აქამდე იყო.

გერმანიის ვალი.

თანახმად ბერლინიდან მიღებულ ცნობებისა გერმანიის მთავრობა [illegible] პრინციპიალურად ვალი [illegible] ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ იგი იტოვებს უფლებას განიხილოს თვით რაოდენობა საერთო თანხისა, რომელიც გამორკვეული და დადგენილი იქნება.

არეულობა იტალიაში.

პარიზი 27 იან. მიღებულია ცნობები იტალიაში მომხდარ კონფლიქტების შესახებ. ფლორენციის ახლოს [illegible] 6 კაცი. აქედან 2 სასიკვდილო ჭრილობები აქვთ. ტრიესტში კომუნისტებმა ხელთ იგდეს სოციალისტური გაზ. „ლავორატორე" ხვალიდან ეს გაზეთი იქნება ტრიესტის რაიონის ექსტრემისტთა ოფიციალური ორგანო. უმუშევართა ბრბომ პარმის ახლო გამოაცხადა რესპუბლიკა; ბრბომ გაანადგურა სამიმოსვლო საშუალებანი. დღეს ღამით სასწრაფოთ გაიწვევს ჯარები. რომლებიც საბარგო ავტომობილებით გაემგზავრნენ.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

დაღესტანი და მთა.

მოსკოვი. 27 იანვარი. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით დაარსდა დაღესტანისა და მთის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკები.

პროფ. კავშირთა ყრილობა.

პრო. კავშირთა საბჭო მოსკოვში პირველ მაისისთვის იწვევს რევოლიუციონურ პროფეს. კავშირთა პირველ საერთაშორისო კონფერენციას. კონფერენციის მოსაწვევათ არჩეულია საგანგებო კომისია შემდეგი შემადგენლობით: რომმერი—საფრანგეთიდან, ლოზოვსკი—რუსეთიდან, ბელა-კუნი—უნგრეთიდან და შაბლინი—ბოლგარეთიდან.

რუსეთი და მოკავშირეთა სახელმწიფონი.

ლონდონი. 24 იანვარი. პარიზში გახსნილ მოკავშირეთა ქვეყნების პრემიერ მინისტრთა თათბირზე გაირჩევა საკითხი მოკავშირეთა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ. ამის გამო ინგლისური გაზეთი „სენდე ტაიმსი" სწერს: რომ საფრანგეთის პრემიერ მინისტრი საბჭოთა მთავრობის არ ცნობის ერთად ერთ მიზეზად ასახელებს უკანასკნელის მიერ ვალის გადახდაზე უარის თქმას, მაგრამ რუსეთთან ვაჭრობის აღუდგენლად შეუძლებელია ვალის გადახდა, ამიტომ საფრანგეთმა უნდა აღადგინოს რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება, რაც თავის თავად გამოიწვევს საბჭოთა მთავრობის ცნობას.

ფინეთი და რუსეთი.

რიგა 24 იანვ. სახელმწიფო მრჩეველი ახონლი დაინიშნა ფინეთის ელჩათ მოსკოვში.

ფინეთში, ლითონის ქარხნის პატრონები რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღსადგენად საგანგებო კომპანიებს ადგენენ.

მარშალი ფოში.

მარშალი ფოშის პარიზიდან ლონდონში მოულოდნელმა წასვლამ დიდი გაკვირვება გამოიწვია საზოგადოებაში; როგორც ისმის ფოში მოლაპარაკებას გამართავს ჩერჩილთან.

უთანხმოება ლენინსა და ტროცკას შორის.

თანახმად პარიზიდან მიღებულ ცნობებისა დასტურდება ხმები ტროცკისა და ლენინს შორის მომხდარ უთანხმოების შესახებ. ლენინი კარგის თვალით უყურებს ინგლისთან დასადებ ხელშეკრულების პროექტს და მას არ სურს დიდი წინააღმდეგობა გაუწიოს ტრედ-უნიონებს, ტროცკი კი, რომელსაც მხარს უჭერს ზინოვიევი, წინააღმდეგია ყოველგვარი შეთანხმების დადებისა კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან და ენერგიულათ ილაშქრებს ტრედ უნიონების წინააღმდეგ.

მესოპოტამიაში.

„დეილი ხრონიკლი" იუწყება: ბრიტანეთის ჯარები გამოწვეულია მესოპოტამიიდან.

ვილჰელმის დაბადების დღე.

გერმანიაში იდღესასწაულეს ვილჰელმ მეორის დაბადების დღე. კაიზერს ამ ჟამად 62 წელი შეუსრულდა. კაიზერის პოპულიარობა რომ თანდათან იზრდება ამის დამამტკიცებელია თუნდ ის ფაქტი, რომ 200.000 კაცზე მეტმა მიულოცა მას დაბადების დღე.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

გერმანიის ვითარება.

ციურიხი. ციურიხის ახალი გაზეთი შემდეგ ნაირად ახასიათებს გერმანიის [illegible]ებასა და სულიერ განწყობილებას: ჯერ კიდევ არ გაფანტულა შავი ღრუბლები გერმანიის ჰორიზონტზე, მაგრამ უკვე არის გერმანიის აღორძინების ნიშნები. თანდათან ძლიერდება შრომის ნაყოფიერება, რადგანაც ხალხი დარწმუნებულია, რომ გერმანია შეძლებს აღორძინებას მხოლოდ და მხოლოდ გაძლიერებულ შრომით. მადნეული სათბობი მასალა თუმცა საკმაო არ არის, მაგრამ კრიზისმა გაიარა და რკინის გზები ნორმალურად მუშაობენ. ცხოვრება შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ ჯერობით მაინც არის სურსათ-სანოვაგის ნაკლულევანება. თანდათან [illegible] აგრეთვე გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა. ხალხი უნდობლად უცქერის როგორც მონარქისტებს, აგრეთვე კომუნისტებს. მიუხედავათ ამ დადებითი მხარეებისა. გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა მაინც მძიმეა.

ავსტრიაში.

ვენის მდგომარეობა დღითი დღე გამოუვალი ხდება. ქალაქი დაღუპვის პირზეა. მთავრობას კასები სრულებით ცარიელია და მოსამსახურეთ ჯამაგირს ვერ აძლევენ.

ვრანგელის ჯარი.

სტამბოლი. ვრანგელი განსაკუთრებულ ბრძანებაში სწერს, რომ კუნძულ ლემნოსსა და გალიპოლის ნახევარ კუნძულზე გადაყვანილი ჯარის ნაწილები მეტად ცუდ პირობებში იმყოფებიან. ბანაკში ცხოვრებას მრავალი ვერ იტანს და სიცოცხლეს ესალმება. ამიტომ ვრანგელი წინადადებას იძლევა დაუყონებლივ შეამოწმონ ოფიცრები და ჯარისკაცები და მრავალი მათგანი ლტოლვილი მდგომარეობაზე გადაიყვანონ. ამ ბრძანებიდან სხვათა შორის სჩანს, რომ გადაყვანილის ჯარი შესდგება სამი კორპუსისაგან: პირველი არმიისა, დონისა და ყუბანის კორპუსისაგან.

ახალი ამბები

დამფუძნებელი კრების შრომის კომისიაში შევიდა პროექტი დეკრეტისა სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების შესახებ. პროექტს კომისიაში განიხილავენ იანვრის 29 ს შაბათს.

◆ **ფრონტის დამხმარე კომიტეტი.** სამშაბათს, თებერვლის პირველს მთელი შემადგენლობით მიემგზავრება ფრონტზე აღერბეიჯანისა და სომხეთის მიმართულებით. იმ მოქალაქეებმა, რომელთაც სურთ წავიდენ ფრონტზე კომიტეტთან ერთად, ამის შესახებ მთავარ კომიტეტის კანცელარიაში უნდა შეიტანონ განცხადება კვირამდე.

◆ **სახალხო განათლების სამინისტროში.** მთავრობამ მოისმინა რა სახალხო განათლების მინისტრის მოხსენება ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის მოსამსახურეთათვის სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემის საკითხსა და სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარალელურ კურსების დაარსების შესახებ დაადგინა: მიიღოს მოხსენება და გაიღოს აღნიშნულ საჭიროებისათვის სათანადო თანხა. სახალხო განათლების მინისტრს წინადადება მიეცა შეიტანოს დამფუძნებელ კრებაში სათანადო პროექტი.

◆ **ფინანსთა სამინ[illegible]ში.** მთავრობამ მოისმინა რა მ[illegible] მოადგილის მოხსენება ფინანსთა მინისტრი ამხანაგის დანიშვნის შესახებ დაადგინა: განთავისუფლოს მოვალეობისაგან ფინანსთა მინისტრის ამხანაგი [illegible] ნი მისი [illegible] კომ[illegible] გამო და დანიშნოს ფინანსთა მინისტრის ამხანაგად ი. სალაყაია და ი ელიგულაშვილი.

◆ **ერობათა კავშირის კომიტეტმ** დაადგინა გახსნას მარტის პირველ რიცხვებში უფასო კურსები ერობათ მუშაკებისათვის და აგრეთვე გახსნა საბუღალტერიო კურსები. მოწვეულ იქნებიან საუკეთესო ლექტორები.

◆ **ფრონტისათვის.** კვირას, 30 იანვარს, ყველა გოგირდის აბანოები გაიღება დილის 7 ს. ნაშუადღევის 2 საათამდე, მთელი შემოსავალი გადაეცემ ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტს აბანოების პროფ. კავშირის გამგეობა.

◆ **ტფილისის მაზრის ერობის აგრონომიულ** განყოფილებას ესაჭიროებ სამსახურში ორი აგრონომი და სამ ინსტრუქტორ სპეციალისტი მებაღეობი და მემინდვრეობის დარგში.

◆ **ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ტფილისის განყოფილების** გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს საზოგადოების განყოფილებ წევრებს შემოიტანონ საწევრო გადასახადი საზოგადოების მთავარ გამგეობ ბინაზე (ყოფილი თავად-აზნაურობ ქარვასლა) ყოველ დღე კვირა უქმეებ გარდა დილის 10 საათიდან შუადღ 2 საათამდე. იქვე შეიძლება ახალ წევრების ჩაწერაც და მიღება შემოწირულებანი.

◆ **სრულიად საქართველოს მოსამსახურე ფარმაცევტთა მეორე ყრილობის** მომწვევი საორგანიზაციო ბიურ აცხადებს მოსამსახურე ფარმაცევტთ საყურადღებოდ, რომ, როგორც გამოცხადებული იყო, ყრილობა აუცილებლ შესდგება 6 თებერვალს. წინადადება სამუშაო დამთავრებულია და ყრილობ არავითარ შემთხვევაში აღარ გადაიდებ აუცილებლად ამ დროისათვის უნდ იქნან გამოგზავნილი დელეგატები. დელეგატები ბინით უზრუნველყოფილი ი ნებიან.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** მიმდინარე თვიდან სახალხო უნივერსიტეტ საგანთა შორის წაიკითხება ლექციებ ახალ საგნებში. და წყდება ლექციებ კოოპერაციაზე, ელექტრო-მექანიკაზ (პრაქტიკული) და სხვ. ორივე ამ კურს დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვი იმიტომ, რომ მიაწოდოს მათ პრაქტიკული ცნობების გარდა თეორიულ ცოდნასაც. იკითხება აგრეთვე ლექციებ შემდეგ, მეტად მნიშვნელოვან საკით ხებზე: მუშათა საკითხი—კითხულობ სეით დევდარიანი; მეცნიერება სახელმწიფოზე—კითხულობს ტყემალაძე; პოლიტიკური ეკონომია—ზ. თეგზაია, ქართული მწერლობა—ვ. ბარნოვი და სხ იკითხება ლექციები აგრეთვე საბუ ბისმეტყველო საგნებში. მიმდინარ კვირაში ლექციების კითხვა ვერ მო დიოდა სასურველად, ვინაიდან ელექტ რონის სადგური სინათლეს ვერ აწო დებდა უნივერსიტეტს. ეხლა ეს საკითხი უკვე მოგვარებულია: სინათლე არი და ლექციების კითხვაც სისტემატიურად სწარმოებს ამიტომ ყველა მსმენელებმა უნდა სისტემატიურად იარო ლექციებზე, თორემ გამოტოვება შემდეგში მეცადინეობას შეაფერხებს.

◆ **სახოფლო სამეურნეო პალატ** საორგანიზაციო კომიტეტმა სხვადასხვა მიზეზებისა გამო დაადგინა სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ყრილობები გადაიდოს შემდეგ რიცხვებში სათვის: 1) მეცხვარე-მესაქონლეთა 20 2) მეღვინე-მევენახეთა 23, 3) მეთამბაქოეთა 25, 4) მებაღე-მევენახეთა 27 თებერვლისათვის, 5) [illegible] 1 მარტისათვის. ხოლო საერთო ყრილობების საბჭოების სხდომა 3 მარტისათვის.

◆ **შრომის სამინისტროში.** შრომის მინისტრის ამხანაგის ი. ბახტაძის ხელის მოწერით მუშათა მაგიდებს შემდეგი ცირკულიარი დაეგზავნა: თანახმად მთავრობის მიერ 6 იანვარს მიღებულ დადგენილებისა, შრომის სამინისტრო იუწყება: იმ ოფიცრების ოჯახებმა, რომელთა სამსახური მიმდინარეობს მუშათა მაგიდის მოქმედების რაიონში, უნდა მიიღონ რაციონი მუშათა მაგიდიდან იმავე წესით, როგორითაც ღებულობენ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახები.

◆ **„ჩვენი ქალაქი".** რედაქციამ მიიღო ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის ორგანოს „ჩვენი ქალაქის" მეექვსე (დეკემბრის) ნომერი.

◆ **„ჯეჯილი".** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ჯეჯილის" დეკემბრის ნომერი. ჟურნალი გაეგზავნებათ მხოლოდ იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც დამატებით 400 მან. აქვთ შემოტანილი.

◆ **ჟურ. „სახალხო გვარდიელი".** დღეს გამოვიდა ჟურნალი „სახ. გვარდიელის" მორიგი ნომერი (№ 4) შემდეგი შინაარსით: მეთაური—„ფრონტი და ზურგი", ბათუმისკენ, ვალიკო ჯუღელისა, დიდებულ მომავლის კართან ივ. გომართელისა, „ჩვენ და მეზობელი სახელმწიფოები" კ. ე.—ისა, თანამედროვე [illegible], „დეზერტირი" სახ. გვარდიელის [illegible]ისა. მეორე ყრილობის რეზოლიუციები და ინსტრუქციები, ლექსები: ქუჩიშვილის და სხვ. სხვადასხვა ცნობები, დეპეშები კორეს-

პონდენციები. სურათები: ნოე ჟორდანიას, ანარიაზე დახუცილი ბ-მის ოფიცრებისა; ძმათა სასაფლაო, ეპიზოდები ფრონტების ცხოვრებიდან და სხ.

კრებები.

კვირას, იანვრის 30 ს, დილის 12 საათზე კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, ბარიატინსკის ქუჩაზე, № 5, დანიშნულია ქართული სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

— „სურსათზე" მომუშავეთა გაერთიანებული კავშირი. კვირას, 30 იანვარს, ა/წ. ავლაბრის მუშათა კლუბში (კახეთის მოედანი, ავლაბარი) მოხდება „სურსათზე" მომუშავეთა კავშირის საზოგადო კრება. ყოველმა წევრმა თან უნდა იქონიოს საწევრო წიგნაკი. კრება გაიხსნება დილის 11 ს. თუ პირველი კრება არ შესდგა, მეორე გაიხსნება 12 საათზე.

პარტიული კრებები

საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის მე-6 რაიონის კოლექტივი კვირას, 30 იანვარს, დილის 10 ს. მუ ულმანთა აუდიტორიაში (მოედანი) იწვევს ამავე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრებას. დღის წესრიგი: მოხსენება ამხ. სეით დევდარიანისა, კოლექტივის გასული წლის მოღვაწეობის ანგარიშის განხილვა, მოხსენება სარევიზიო კომისიისა, არჩევნები კოლექტივის, თფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრებისა. ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა. (2—1).

— სამშაბათს 1 თებერვალს საღ. 5 ს. ნაძალადევის თეატრის შენობაში დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება კოლექტივის ერთი წლის მუშაობის შესახებ 2) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან,—3) არჩევნები კოლექტივის, თბ. კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრებისა. (3—1)

— მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა დანიშნულია დღეს, დღის 4½ ს. პრეზიდიუმის პირველი სხდომა შესდგება დღის 4 ს.

29 იანვარს საღამოს 7 ს. მეორე რაიონის ბინაზე დანიშნულია ს. დ. ქალთა ორგანიზაციების ბიუროს კრება. სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება.

— გორში კვირას, 30 იანვარს, დილის 10 ს. გორის სამაზრო კომიტეტის ბინაზე შესდგება სამაზრო კომიტეტის საგანგებო კრება. საკითხები ფრიად სერიოზული და სასწრაფო ხასიათისაა. კრებას დაესწრება ამხ. კარლო ჩხეიძე. ამხანაგებს სთხოვენ დაესწრონ უეჭველად. კრების გადადება შეუძლებელია.

— კვირას საღამოს 5 საათზე შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მე-2 რაიონული კოლექტივის, ქვე-კოლექტივების წარმომადგენელთა და სარევიზიო კომისიის შეერთებული სხდომა.

ორშაბათს, 31 იანვარს საღ. 6 ს. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონულ კოლექტივის სხდომა—ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

— დღეს, საღამოს 4 ს. ახალ ბინაზე (19 თებ. ქ., № 3) შესდგება ჩუღურეთის რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა კრება (ცეკადან მოხსენებას გააკეთებს ნუცუბიძე).

კომუნისტების მუშაობა ჩვენში

(შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ცნობა).

საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღალატურ მოღვაწეობას თან და თან ფარდა ეხდება. ჩვენ ყოველ დღე ვღებულობთ ახალ-ახალ დოკუმენტებს, რომელნიც აშკარავებენ ამ პარტიის ჭეშმარიტ სულისკვეთებას. აქვე ვაქვეყნებთ სამაზრო კონფერენციის ოქმს, რომელიც კომენტარიებს არ საჭიროებს. ოქმი საქართველოს კომუნისტურ (ბოლშევიკების) პარტიის სამაზრო კონფერენციისა ამხანაგ პეტრე ბოლოტნიკოვის თავმჯდომარეობით, რომელზედაც თავმჯდომარის ამხანაგად არჩეული იყო სარქის მელქუმოვი და მდივნებად ამხ. ტიმოთე ტარასოვი და ამხ. პავლე აზოვი. 1920 წელ. 20 ნოემბერი. სოფ. პრივოლნოე. დღის წესრიგი. 1) მოხსენება მომენტის შესახებ, 2) მოხსენებანი ადგილებიდან, 3) გუბკომის მოხსენება, 4°/₀ ორგანიზაციების საკითხი, 5) საკითხი ორგანიზატორებისა და ლიტერატურის შესახებ, 6) არჩევნები უეზდკომში, 7) არჩევნები კომუნისტების ყრილობაზე, 8) მიმდინარე საკითხები.

1) პირველ საკითხის შესახებ მოსმენილ იქნა მოხსენება ამხ. გრიგორიანცისა და სიტყვები და განმარტებანი იმ ამხანაგებისა, რომლებმაც იციან მოვლენათა მიმდინარეობა, როგორც საბჭოთა რუსეთში, აგრეთვე სხვა ქვეყნებში. აღნიშნულ საკითხის მოსმენის შემდეგ გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ ამხანაგები კომუნისტები, შევიკრიბეთ რა სამაზრო კონფერენციაზე აღნიშნულ რიცხვს, ვესალმებით ქემალისტების მოძრაობას სომხეთისა და საქართველოს წინააღმდეგ იმდენად, რამდენათ, ეს მოძრაობა დაკავშირებულია საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებასთან და დაშნაკების და სოც. დემ. გამყიდველ მიზნების მოსპობისაკენ.

2) მეორე საკითხის შესახებ მოსმენილ იქნა მოხსენებანი ადგილებიდან. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ამ ჟამად მხოლოდ პრივოლნოეს ორგანიზაცია აწარმოებს ლეგალურ მუშაობას, დანარჩენი ორგანიზაციები: ვორონცოვკისა, ახპატისა, შინიხისა და ვარნაკისა გარეშე მიზეზების გამო აწარმოებენ არალეგალურ მუშაობას. ორგანიზაციებში პარტიული ამხანაგები უმეტეს შემთხვევებში გულადათ იცავენ კომუნიზმის იდეას და პირველ შეძლებისთანავე მზად არიან გაუწოდონ დახმარების ხელი იმ ამხანაგებს, რომლებიც იარაღით ხელში იბრძვიან საბჭოთა ძალაუფლებისათვის.

3) გუბკომის მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად.

4) ორგანიზაციათა მოწყობა ადგილობრივად გაგრძელდეს, ამასთანავე ვსთხოვოთ ახალ წევრებს თანახმად გუბკომის მიერ შემუშავებულ წესდებისა, მოეწყონ რაიონებში პარტიული სასამართლოები, რომლებიც მოიყვანენ სისრულეში თავის დადგენილებას უეზდკომის დამტკიცების შესახებ რაიონულ კომიტეტს ეძლევა უფლება პარტიის გაწმენდისა.

5) ეთხოვოს გუბკომს დანიშნოს ნ—ში სამი ორგანიზატორი, ამასთანავე მესამე ორგანიზატორი უნდა იყოს მუსლიმანი. ორგანიზატორებს უნდა მიაწოდონ საჭირო გაზეთები და ლიტერატურა, რომ ამრიგად ორგანიზაციის კულტურული მოქმედება სათანადო სიმაღლეზე დადგეს.

6) სამაზრო კომიტეტში არჩეული არიან: პრივოლნოედან პ. ბოლოტნიკოვი და ტ. ტარასოვი, ვორონცოვიდან—ვ. მ. ფედოროვი, ახპატიდან სარქის ისრაელიანცი და შინიხიდან გრიგორი ბაბიანცი.

7) კომუნისტების კონფერენციაზე ქ. თფილისში არჩეულნი არიან: პრივოლნოედან ლუკა გოროდკოვი, ვორონცოვკიდან, ახპატიდან და შინიხიდან დელეგატების თხოვნით არჩეულნი იქნებიან თითო წარმომადგენელი იმ პირობით, რომ ეს არჩეული ამხანაგები გამოცხადდენ კონფერენციაზე თფილისში ნოემბრის 25 ს.

8) მიეცეს წინადადება მესამე საარაიონო კომიტეტს იქონიოს კავშირი ქემალისტებთან და ყველაფერი აცნობოს უეზდკომს.

9) იმ ამხანაგებს, რომლებიც თფილისში მიემგზავრებიან, ევალებათ რაიონებისათვის საჭირო ბეჭდების შეკვეთა.

10) ლორის სამაზრო კონფერენცია მხურვალედ მიესალმება გაზ. „საქართველოს კომუნისტის" გამოსვლას, რომელიც არის ერთად ერთი მებრძოლი ორგანო საქართველოს სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელი ხალხის შორის სოლიდარობის იდეის განსამტკიცებლად. თავმჯდომარე პეტრე ბოლოტნიკოვი. თავმჯდომარის ამხ. (ხელმოწერილია) მდივანი (ხელმოწერილია). (სდს.).

„წითელ" აზერბეიჯანში

ჩამოსულის ნაამბობიდან.

ნავთის დედა-ქალაქი—ბაქო ისეთ ქალაქის შთაბეჭდილებას სტოვებს, სადაც ნავთის სულიც არ მოიპოვება. ღამით ქალაქი სიბნელით არის მოცული: ქუჩის ყველა ლამპები ჩამოხსნილია საბჭოთა ქვეყნის ძლიერ პირთა ბინების საჭიროებისათვის. „კონკა" არ დადის, როგორც საზოგადოთ არ ემჩნევა ქუჩებში ეტლების მოძრაობაც. „კონკის" მუშაობა გამოიხატება მხოლოდ რაიონებში ნავთის ზიდვაში და ამას ის ასრულებს. მაგრამ ნავთის გადაზიდვა და განაწილება ისე ცუდათ არის მოწყობილი, რომ მცხოვრებლები უნავთოთ სხედან.

ნავთის მარაგი ბაქოში საბჭოთა რუსეთის მოთხოვნილებასთან შედარებით თითქმის გამოლეულია. ახლად ამოღება ნავთისა თითქმის სულ არ სწარმოებს. ნახევარი „ვიშკებისა" არ მოქმედებს. პრესაში და კრებებზე კომუნისტები აღნიშნავენ ნავთის მრეწველობის კატასტროფიულ მდგომარეობას, მაგრამ ამით საქმე სრულიადაც წინ არ მიდის.

„ძარცვის კვირამ" სრულიად ვერ გააუმჯობესა მუშათა მდგომარეობა, მხოლოდ მცხოვრებთა დანარჩენი ნაწილი კი საშინლათ გაძარცვა. „თავისუფალი" ფასები ბაქოს ბაზარზე ასეთია: თეთრი პური გირვანქა ღირს 1,300 მან. კვერცხი თითო 600 მანეთი, ქათამი 7—10 ათასი მანეთი, ვაშლი გირვანქა 800 მანეთი, ბოლოკი გირვანქა 350 მანეთი, პაპიროსი ადგილობრივი კოლოფი 800 მანეთი, „სოლიდნი" 1,500—1,600 მანეთამდე. („სლ.").

საბჭოთა რუსეთში

უცხოელთათვის კონცესიების მიცემის გამო გაზ. „პრავდის" ცნობით მოსკოვში გაუმართავთ საჯარო სასამართლო საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ უცხოელთათვის კონცესიების უფლების მიცემის გამო. საბჭოთა მთავრობას ბრალს სდებენ იმაში, რომ მან უღალატა კომუნიზმის პრინციპებს. საქმის გარჩევას დაესწრო მრავალი წითელარმიელი და მუშა. „პრავდა" იუწყება: დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ სასამართლომ, რომელიც შესდგებოდა ორი—პარტიული შკოლის კურსელისაგან, ერთი მოსამსახურისა და ორი მეცნიერისაგან, ერთხმად გაამართლა საბჭოთა მთავრობა. (სდს).

მოსკოვ-ლიბავა-რიბინსკის რკ. გზ. მომხდარ კატასტროფის შესახებ. „პრავდა" იუწყება. მოსკოვიდან მიმავალი საფოსტო-სამგზავრო მატარებელი ღამის სამ საათზე დაეჯახა ვოლკოლამსკიდან მომავალ სამგზავრო მატარებელს. მრავალია მძიმეთ დაჭრილი და დახოცილი. ჯერ-ჯერობით ითვლება 160 მძიმეთ დაჭრილი. (სდს).

„მეშოჩნიკების" წინააღმდეგ. როსტოვში რევტრიბუნალმა გამოსცა ბრძანება „მეშოჩნიკებთან" ბრძოლის შესახებ. ამ მოვლენამ უკანასკნელ დროს საყოველთაო ხასიათი მიიღო. სხვადასხვა სადგურებში—როსტოვში, ბატაისკში და ნოვოჩერკასკში დაწესებულია დამაკავებელი რაზმები, რომლების აგენტები გულმოდგინეთ ათვალიერებენ მგზავრებს და ართმევენ ნორმაზე მეტ სურსათ სანოვაგეს. თვით „მეშოჩნიკები" და აგრეთვე უბილეთო მგზავრები კი გადაეცემიან კომტრუდების განკარგულებაში იმისათვის, რომ ისინი გამოყენებული იქმნენ იძულებით მუშაობის დროს.

მუშათა კავშირების საერთაშორისო ყრილობა

(წერილი ლონდონიდან)

III.

25 ნოემბრის სხდომაზე კომისიებმა წარმოადგინეს რეზოლიუციები; მათ შესახებ გაიმართა კამათი. პირველი რეზოლიუცია ეხებოდა რვა საათის სამუშაო დღის და მოითხოვდა ვაშინგტონის რეზოლიუციის განხორციელებას, ესე იგი დღეში 8 საათის სამუშაო დროს და კვირაში 48 სამუშაო დროის გატარებას. მცირე კამათის შემდეგ ეს რეზოლიუცია მიღებულ იქნა.

მეორე რეზოლიუცია ამბობს, რომ კაპიტალისტური ბურჟუაზიის პაციფიზმი ვერ შეთავსდება მუშების მოთხოვნილებებთან, რომლებიც შეიცავენ მუდმივი ზავის მოთხოვნილებას ეს რეზოლიუციაც მიღებულ იქნა.

მერტანმა (ბელგიიდან) წარმოადგინა რეზოლიუცია, რომელიც აცხადებს, რომ ეკონომიური აღდგენის ერთ-ერთი არსებითი პირობა არის მსოფლიოს ნედლი მასალის შესაფერად განაწილება. კაპიტალისტური სისტემის აღდგენა ხელს შეუშლის ნამდვილ განაწილებას და ამიტომ შეკავშირებულ მუშათა მოვალეობაა—ეცადონ მიაღწიონ წარმოებისა და განაწილების ნაციონალურ ორგანიზაციის დაარსებას. ნედლი მასალის განაწილების შესახებ უნდა ეთხოვოს ინტერნაციონალურ მუშათა ოფისს (განყოფილება, რომელიც არსებობს ერთა ლიგის საბჭოსთან) მოახდინოს გავლენა ინტერნაციონალურ ცენტრზე და ყველა ერის და ხალხის წარმომადგენელზე ნედლი მასალის განაწილების საკითხში.

ჯ. ბალდეზი (იტალიიდან) პროტესტს აცხადებს ამის შესახებ და ამბობს: ლოღიკური არ არის, როცა აცხადებენ, რომ კაპიტალისტური სისტემა ხელის შემშლელია და ამიტომ უნდა მივმართოთ მის ორგანიზაციას—ხალხთა ლიგის ინტერნაციონალურ მუშათა ოფისსო.

კრების თავმჯდომარემ თომასმა ამ საკითხის შესახებ სთქვა, რომ მას იმედი აქვს—მუშები წინააღმდეგობას არ გაუწევენ მუშათა ოფისს. „ჩვენ გვწამს, სთქვა მან, რომ ერთა ლიგა არ იქნება არასოდეს ნამდვილი, სანამ იგი ყველა ერის წარმომადგენელი არ გახდება. ჩვენ გვჯერა, რომ იგი ვერ გახდება ზავის ბურჯი მანამდის, სანამ ყველა ერი არ შევა მის ფარგლებში; ამიტომ მივესალმები ამ რეზოლიუციას, რომელიც ამას ეხებაო".

გერმანიის მუშების წარმომადგენელმა დაუმატა და სთქვა, რომ რეზოლიუცია მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი, თუ მუშათა ორგანიზაციები მოიხმარებენ თავიანთ გავლენას იმისათვის, რათა მოეწყოს დაუყონებლივი კონტროლი და განაწილება ნედლი მასალისა.

ეს ჩაურთეს რეზოლიუციას, რომელიც მიღებულ იქნა. ის შესწორება, რომელიც მოითხოვდა რეზოლიუციიდან ამოეშალოს ადგილი ინტერნაციონალურ მუშათა ოფისის შესახებ,—არ იქნა მიღებული.

იმ რეზოლიუციის განხილვის დროს, რომელიც ეხება საერთაშორისო ფულის ტრიალს, ანუ ფულის ფასს და კურსს, ბრიტანეთის მუშათა წარმომადგენელმა სთქვა, რომ ფულის ტრიალის კრიზისის შესანელებლად საჭირო უნივერსალური (საერთო) და ურთიერთშორისი უარყოფა ომის მიერ გამოწვეულ ვალისა.

კომისიის აზრით, ფულის ფასის რყევა დამოკიდებულია ქაღალდის ფულის გამოცემაზე. თუ ქაღალდის ფულის გამოცემა გაგრძელდა და ბანკებმა სესხი კვლავ გამოუშვეს,—ფულის ფასი კიდევ დაეცემა; მაშასადამე, იგი უნდა შეწყდეს ან ძლიერ შემცირდეს. ბანკებს კონტროლი უნდა გაუწიოს მთავრობამ. საღი ეკონომიური პირობების შესაქმნელად ნამდვილი გზა არის ინტერნაციონალური par exchange-ს აღდგენა. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ინტერნაციონალურ კოოპერაციით. ინტერნაციონალური სესხი, უზრუნველყოფილი ყველა ნაციის რეალურ სიმდიდრით, უნდა იქნეს გამოშვებული ერთა ლიგის ზედამხედველობით; იგი უნდა მოხმარდეს ფულის კურსის განმტკიცებას და მრეწველობის აღდგენას. ინტერნაციონალურმა ორგანიზაციამ უნდა მოაწყოს ზედამხედველობა ნედლი მასალის წარმოებაზე. ერთა შორის საჭირო საგნების განაწილება უნდა მოხდეს არა ფინანსიურ წყაროების პროპორციის მიხედვით, არამედ ქვეყნის საჭიროების მიხედვით. კამათი ამ საკითხის შესახებ გადაიდო მეორე დღისათვის.

ყრილობას მოხსენდა ცნობა ურალის (რუსეთი) მუშათა კავშირის წერილის შესახებ. ურალის მუშები სწერენ: ჩვენ გაზეთებიდან გავიგეთ, რომ ინტერნაციონალური მუშათა ორგანიზაციების კონგრესი ხდება ლონდონში. განა ხილეთ რა ის მოვლენა, რომ რუსეთის მუშათა კლასი არ არის წარმოდგენილი კონგრესზე იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობამ, რომელიც დღეს კონტროლს უწევს მუშათა ორგანიზაციებს, არ უპასუხა მოწვევაზე დელეგატების გამოგზავნით,—ჩვენ წარმომადგენლები უკანასკნელი ყრილობისა, რომელიც შესდგა რუსეთში და რომელიც იყო დამოუკიდებელ მუშათა კავშირების ყრილობა,—მოვალეობათ ვსთვლით მოგახსენოთ შემდეგი:

1) დღეს რუსეთში არ არსებობს თავისუფალი და დამოუკიდებელი მუშათა კავშირები. ყველა მუშათა კავშირები საბჭოთა მთავრობამ გადააქცია მთავრობის დაწესებულებათ, რომელიც არ იბრძვის მუშათა იდეალებისათვის, არამედ არის უბრალო დაწესებულება (დეპარტამენტი) საერთო ბიუროკრატიულ აპარატისა.

2) დღეს რუსეთის მუშათა კლასისათვის ყოვლად შეუძლებელია გამოსთქვას თავისი აზრი აშკარად. და ეს იმის წყალობით, რომ არსებობს პოლიტიკური და ეკონომიური ბატონყმობა, რომელიც განამტკიცა რუსეთში საბჭოთა მთავრობამ.

3) რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მეთაურებს სასტიკათ სდევნის საბჭოთა მთავრობა; ბევრი მათგანი დახვრიტეს. ბევრი ახლაც ციხეში და ლაგერშია. ბევრი გაიქცა. რუსეთის პროფესიონალური კავშირები რომ დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ მთავრობისაგან, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია,—ჩვენ, როგორც მუშები, როგორც რუსეთის პროფესიონალურ მოძრაობის მონაწილენი, როგორც პოლიტიკური მოძრაობის მონაწილენი ამ უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში, ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებულნი, რომ რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლები დაესწრებოდენ კონგრესს და შეუერთდებოდენ თავის ძალას მათ—ყველა ქვეყნის მუშებს, მუშათა თავისუფლებისათვის ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ და სხვა.

კრებაზე აღნიშნული იყო, რომ ურალის კავშირი შეიცავს 145,000 წევრს.

შემდეგ სხდომაზე გაგრძელდა კამათი ფულის ტრიალის შესახებ. რეზოლიუცია ამბობს, რომ ფულის კურსის განსამტკიცებლათ საჭირო არის ომის მიერ გამოწვეული ვალების მოსპობა-გაბათილება. ნორვეგიის და იტალიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ფულის კურსის გამოსწორება შეუძლებელია დღევანდელ კაპიტალისტურ ხანაში. ამ მუხლის კენჭის ყრის დროს კანადამ და ბელგიამ წინააღმდეგ მისცეს ხმა. ბრიტანეთმა თავი შეიკავა. საერთოდ რეზოლიუცია საერთაშორისო მშვიდობიანობისა, მილიტარული ხარჯის შემცირებისა და ინტერნაციონალური სესხის მოწყობის შესახებ მიღებულ იქნა თუმცა ამის წინააღმდეგ მისცეს ხმა ნორვეგიამ, იტალიამ და კანადამ.

სხდომა გადავიდა სოციალიზაციის საკითხზე და მიღებულ იქნა რეზოლიუცია მიწის და წარმოების სხვა საშუალებათა სოციალიზაციის შესახებ. სოციალიზაცია უნდა მოხდეს პირველათ მინერალების, სატრანსპორტო ინდუსტრიის და წარმოების ყველა იმ დარგებში, რომელიც თვითეული ქვეყნის პროლეტარიატის თვალსაზრისით მზათაა განსახორციელებლათ. გამოთქმულ იქნა სურვილი, რათა ამ საკითხის შესახებ ინტერნაციონალურ ბიურომ კავშირი დაიკავოს მაღაროს მუშათა ინტერნაციონალურ კავშირთან, ტრანსპორტის მუშათა ინტერ. კავშირთან და სხვ.

რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია მოსკოვის მესამე ინტერნაციონალის შესახებ. კონგრესმა უარჰყო მოსკოვის ინტერნაციონალი. ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ ხმა მისცა ნორვეგიამ, თავი შეიკავა იტალიამ. (ციფრებით, მოსკოვის მომხრე იყო 150 000 ხმა, მოსკოვის წინააღმდეგი იყო 22,122,000 ხმა და თავი შეიკავეს 2,300,000 მა.)

კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე, 27 ნოემბერს, თავმჯდომარემ შეიტანა დამატებითი წინადადება მოსკოვის რეზოლიუციის შესახებ. რეზოლიუცია მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მოსკოვი თავს ესხმის ლონდონის კონგრესს და ამბობს, რომ ეს თავდასხმა არ წარმოადგენს რუსეთის ხალხის მოქმედებას და რომ მის ლიდერებს არა აქვთ უფლება ილაპარაკონ რუსეთის პროლეტარიატის სახელით. რეზოლიუცია ამბობს, რომ ქვეყნის მართვა და ინტერნაციონალურ მუშათა ორგანიზაციის სათავეში ყოფნა სხვადასხვაა და შეუსაბამო ერთი მეორესთვის; მოსკოვის კომუნისტებს არ შეუძლიათ ეს სხვა და სხვაობა მოსპონ. ეს დამატება ერთხმად იქნა მიღებული. საფრანგეთის მუშათა წარმომადგენელმა გააცნო კონგრესს მომუშავეთა ცუდი მდგომარეობის შესახებ რურის რაიონში. კონგრესმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც აცხადებს, რომ „შეკავშირებული მუშები მზათ უნდა იყვნენ ყოველი ზომით ებრძოლონ დიქტატორობას რომელიც გამეფებულია რურის რაიონის მუშებში".

დასასრულ თავმჯდომარემ თომასმა სხვათა შორის სთქვა: ბრიტანეთის პოლიტიკა იყო მთელი ქვეყნის გამობრუნება—ამოჯანმრთელების პოლიტიკა საერთაშორისო ზავის ნიადაგზე. ყველა ერები უნდა შემოკრბნენ ნამდვილ ერთა ლიგაში და მილიტარიზმი უნდა აღიგავოს დედამიწის პირიდანო. კონგრესი ამის შემდეგ დაიხურა.

ვიქტორ ნოზაძე.

პარტიული მუშაობა

პარტიული მუშაობა თფილისის მეორე და მესამე რაიონების მცირე კოლექტივებისა, ეს ერთი ხანია მინელებული იყო. მოწინავე ამხანაგებმა აუცილებლათ დაინახეს ამ რაიონებში მუშაობის კვლავ გამოცოცხლება. ამ მიზნით, ამ დღეებში, მოხდა შეერთებული კრება მეორე და მესამე რაიონებისა, სადაც გადაწყდა ამ ორი მცირე კოლექტივების შეერთებულათ მუშაობა. ამ მიზნისათვის, იანვრის 22 ს შეერთებულმა კრებამ აირჩია ცხრა პირისაგან ეგრეთ წოდებული დროებითი მცირე კოლექტივი, რომელსაც მიენდო ძველი პარტიული ამხანაგების მოწვევა პარტიაში სამუშაოდ, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ან ფულის შემოუტანლობის გამო, არ ირიცხებიან პარტიაში; ამათ ენდობა აგრეთვე საიმედო ახალი ამხანაგების მიღება პარტიაში.

ახალი ბინა შეერთებული მცირე კოლექტივებისა დროებით იმყოფება განოვის ქუჩაზე № 9, მესამე სართულში, შესასვლელი ეზოდან. მიღება და ჩაწერა ახალი წევრებისა სწარმოებს ყოველ ორშაბათობით 6—8 საათამდე. დანარჩენ დღეებში შეიძლება ჩაწერა ყოველ დღე მეოთხე რაიონის მუშათა კლუბში საღამოს 5—7 საათამდე კოლექტივის მდივანთან.

დროებით მცირე კოლექტივში შედიან შემდეგი ამხანაგები: ს. თავართქილაძე, ვ. შათირიშვილი, თ. ნიკოლსოვი, კ. ყაიხოშვილი, ლ. მეგრელიძისა, ი. კიზირია, თ. მღვდელაძე, ი. კალანდაძე და ი. საბაკოვი. ამათ ევალებათ თუთხმეტი დღის განმავლობაში ჩაწერონ ყველა სასურველი ამხანაგები და მოიწვიონ ფართო კრება, სადაც საბოლოოდ მოხდება არჩევნები მცირე კოლექტივისა და მუშაობის გეგმაც გამომუშავება.

ხილია.

თავდაცვის ფონდი

იანვრის 23 სასახლეში შესდგა თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის სხდომა, რომელმაც მოისმინა ანტ. ჟორჟოლიანის მოხსენება პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. საკვიტანციო წიგნაკები დაბეჭდილა სრულიად და გაგზავნია ერობათა და ქალაქთა კავშირს. ამრიგად ეს ნაწილი ორგანიზაციულ მუშაობისა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. წიგნების შესახებ დადგენილ იქნა: დაბეჭდილი წიგნები დაინომროს, დაილუქოს და ყველა გადაეგზავნოს სახელმწიფო ბანკს შესანახად. ყოველ კერძო შემთხვევაში ბანკი გასცემს წიგნაკს პრეზიდიუმის ნებართვით.

მოსმენილ იქნა ბ. ჩხენკელის განცხადება, რომ მას საზღვარ-გარეთ გამგზავრების გამო ფონდის თავმჯდომარეობა არ შეუძლია და წინადადებას იძლევა არჩეულ იქნეს ახალი თავმჯდომარე. თავმჯდომარეთ ერთხმად იქნა არჩეული ნ. ს. ჩხეიძე, რომელსაც უნდა მიმართოს პრეზიდიუმმა თხოვნით, რათა მიიღოს ეს თანამდებობა. ვინაიდან პრეზიდიუმის წევრი მდივანი ან. ჟორჟოლიანიც საზღვარ-გარეთ მიემგზავრება, აღძრულ იქნა საკითხი ახალი მდივნის არჩევისა. ეს საკითხი ღიათ დარჩა შემდეგ კრებამდე.

თავდაცვის ფონდის თანხების გაძლიერების შესახებ მიღებულ იქნა ჩხენკელის წინადადება, რომ გამგეობამ მიმართოს ერობათა, ქალაქთა და პროფესიონალურ კავშირებს და სავაჭრო-სამრეწველო პალატას, რათა ხსენებულმა ორგანიზაციებმა როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ გაიღონ განსაზღვრული შემოწირულება, როგორც კერძო დაწესებულებებმა. თფილისის შემოწირულებათა შემკრებ ორგანოს დაარსების შესახებ დადგენილ იქნა: მიენდოს ბ-ნ აფხაზს გამოარკვიოს ეს საკითხი და მიიღოს ზომები, რათა ასეთი ორგანო შექმნილ იქნეს ქ. თფილისში.

ფულისა და ხორბლის შენახვის შესახებ გამგეობამ დაადგინა მიენდოს საფინანსო სექციას წარმოადგინოს თავისი მოსაზრება, თუ როგორ და რა სახით შეინახოს შემოწირული ფული და როგორ და როდის იქნას შეკრებილი ფული, რომელიც გადადებულია ან გადადებული იქნება ბანკების მიერ. დადგენილ იქნა აგრეთვე დაურიგდეს გამგეობის წევრებს საკვიტანციო წიგნაკები შეწირულებათა შესაგროვებლად. ასეთივე წიგნაკი მიეცეს პირადად სამ. კილაძეს, რომელიც მთავარი მოლარეა სახელმწიფო ბანკში თავდაცვის ფონდისა და განაგებს შეწირულებათა მიღების საქმეს ამ ბანკში. შემოწირულ სიმინდის შენახვის შესახებ დავალა ხორბლეულობის სექციას ყოველ მხრივ გამოარკვიოს საკითხი ხორბლეულობის და სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმოებთა შენახვისა.

მოსმენილ იქნა [illegible] კითხვა, თუ როგორ გადაწყდა საკითხი ფრონტის კომიტეტთან დამოკიდებულებისა. შემკითხველის აზრით ამ საკითხში იყო ბევრი პრინციპიალური მხარე და კითხულობს—ვინ და როდის გადაწყვიტა ეს საკითხი. ამ საკითხის შესახებ მოსმენილ იქმნა განმარტება ბ-ნი აფხაზის, ანტ. ჟორჟოლიანის და ა. ჩხენკელისა, რომელნიც სავსებით აშუქებენ კითხვას და ამბობენ, რომ დადგენილება ფრონტის დამხმარე კომიტეტთან დამოკიდებულების შესახებ მიღებულ იქნა პრეზიდიუმის მიერ, ხოლო შემდეგ სხდომაზე ერთხმად იქნა დადასტურებული გამგეობისაგან. განცხადებების შემდეგ საკითხი ამოწურულად ჩაითვალა.

ჟორჟოლიანის მოხსენების შემდეგ, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები, რათა ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იარონ სხდომებზე, დადგენილ იქნა მიეწეროს ყველა ორგანიზაციებს, გამოგზავნონ ისეთი პირები, რომელთაც შეეძლებათ გამგეობაში მუშაობა.

მიღებულ იქნა ტერ-სტეფანიანის განცხადება, რომ მიეცეს გამგეობის ყველა წევრს მანდატი, რომელიც უფლებას მისცემს მას ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს ადგილობრივ ფონდის ორგანიზაციებს პროვინციაში ყოფნის დროს ადგილობრივ ორგანიზაციების დათვალიერება და პროპაგანდის შესახებ, დადგენილ იქნა: წარმოადგინოს პრეზიდიუმმა თავისი აზრი და ეთხოვოს აგრეთვე ერობათა და ქალაქთა კავშირს შეეკითხონ პროვინციას, თუ როგორი მიმდინარეობს ფონდის გამგეობების ორგანიზაცია და საერთო მუშაობა. (სდს).

რკინის გზაზე

სავალდებულო დადგენილება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გზათა და შინაგან საქმეთა მინისტრისა.

სახალხო მატარებლების შემცირების და მოქალაქეთათვის სამოგზაუროთ შექმნილ რთულ პირობების გამო, რკ. გზებზე სამგზავრო წესების დასაცავათ ვაცხადებ საყოველთაო საყურადღებოდ ქვემო მოყვანილ დროებითი სავალდებულო წესებს:

1) აკრძალულია არა მგზავრთა მიერ რკ. გზ. სამგზავრო ბილეთების შეძენა.

2) ეკრძალებათ აგრეთვე ამ სავალდებულო დადგენილების მოქმედების დროს მგზავრთათვის ბილეთების შეძენა:

ა) სადგურების მებარგულებს, ბ) რკ. გზების ყველა მუშა-მოსამსახურეთ, გ) ბუფეტების ხელზე მოსამსახურეებს, დ) სასტუმროების კომისიონერებს, ხელზე მოსამსახურეებს და სხ.

3) აკრძალულია მგზავრის მიერ ერთზე მეტი სამგზავრო ბილეთების შეძენა მოზრდილთათვის და ერთის ბავშვებისათვის.

შენიშვნა: ავადმყოფთათვის ბილეთის აღებათ სავალდებულოა წარდგენილ იქნეს სადგურის მორიგესთან ქალაქის ან ერობის ექიმის მოწმობა.

4) მგზავრებს ევალებათ ჩადგენ რიგში ბილეთების სალაროსთან ბილეთების მისაღებათ, რომლის გარეშე სამგზავრო ბილეთების გაყიდვა და შეძენა სრულიად აკრძალულია.

შენიშვნა 1: სადგურის უფროსებს ეძლევა უფლება რიგს გარეშე ბილეთის მიცემისა უცხოეთის მისიების წარმომადგენლებისათვის და სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთ საწრაფო სასამსახურო მოგზაურობისათვის, ხოლო არა უმეტეს თბილისში და ბათუმში ხუთი ბილეთისა, ქუთაისში და ფოთში სამი ბილეთისა, თელავში, წნორის-წყალში, გურჯაანში, სამტრედიაში, ზესტაფონში, შორაპანში, ხაშურში და გორში—ორი ბილეთისა და დანარჩენებზედ არა უმეტეს ერთი ბილეთისა.

შენიშვნა 2: სადგურ თფილისი, ბათუმი, ფოთი, სამტრედია, ქუთაისი და ხაშური საბილეთო სალაროებს აღებენ ორი საათით, ხოლო დანარჩენი სადგურები საათნახევრით წინ მატარებლის წასვლამდე. **შენიშვნა 3:** მგზავრები დგებიან რიგში სალაროებთან ბილეთების მისაღებათ წინა შენიშვნაში აღნიშნულ სადგურებზე დაწესებულ დროის მიხედვით.

5) აკრძალულია მგზავრთათვის აღებულ სამგზავრო ბილეთის მეორე პირზე გადაცემა და გაყიდვა.

შენიშვნა: ერთ მატარებელზე აღებული სამგზავრო ბილეთი კარგავს ძალას მეორე მატარებელზე.

6) აკრძალულია სამგზავრო ბილეთის გაყიდვა და შეძენა გარეშე რკ. გზ. დაწესებულ საბილეთო სალაროებისა.

7. აკრძალულია მოგზაურობა კერძო პირთათვის ყოველ გვარ მატარებლებზე, რომელზედაც სახალხო სამგზავრო ბილეთები არ იყიდება.

8) აკრძალულია მგზავრთათვის გაჩერება ვაგონების კიბეებზე, ბუფერებზე, სახურავზე, ვაგონების მუხრუჭებზე და საზოგადოთ ვაგონებს გარეშე ნაწილებზე.

9) აკრძალულია აგრეთვე შეხტომა და

გადმოხტომა მატარებლიდან მის გაჩერებამდე.

10. აკრძალულია მგზავრობა და რაიმე ტვირთის გადაზიდვა ორთქლმავალებზე და მათ ტენდერებზე.

11) აკრძალულია კერძო პირთათვის მგზავრობა და რაიმე ტვირთის გადაზიდვა დრეზინებზე, სახელური ვაგონებზე და რკინის გზის სხვა გვარ სამუშაო სამოძრაო მოწყობილობებზე.

ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი ისჯებიან დაპატიმრებით სამ თვით ან დაჯარიმებით 25.000 მანეთიდან 100 000 მანეთამდე.

12. ამნაირადვე დაისჯებიან ა) უბილეთო მგზავრნი ბ) დამნაშავე პირნი სახელმწიფო ქონების დაზიანებაში, გ) უადგილოდ მოხეტიალენი რკ. გზ. ფარგლებში და დ) ის პირნი, რომელნიც არ დაემორჩილებიან რკ. გზის რწმუნებულ მოსამსახურეების, მილიციონერების და დარაჯების კანონიერ მოთხოვნას.

13) დაისჯებიან აგრეთვე ამ დადგენილების დამრღვევთა ხელის შემწყობნი და მთვრალნი რკ. გზის მოსამსახურენი დაპატიმრებით ციხეში სამი თვის ვადით და სამსახურიდან სრულიად დათხოვნით.

ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

გზათა და შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

ქ. თფილისი
22 იანვარი, 1921 წ.

განცხადება

1900 წელში დაბადებული ახალგაზრდა მოქალაქეთა სამხედრო ბეგრის მოხდილათ 1920 წ. მორიგ გაწვევაზე.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1900 წ. დაბადებულ ახალგაზრდა პირთა ჯარში გამწვევი და მიმღები კომისია შეუდგება თავის მოქმედებას ქ. თფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოსთან განსაკუთრებულ შენობაში (ვაგზლის ქ. სახლი თამამშევისა) ქვემო აღნიშნულ დღეებში, დილის 9 საათიდან. ამიტომ **6 და 7 თებერვალს, კვირას და ორშაბათს უნდა გამოცხადდნენ ჯარში გასაწვევნი ის პირნი, რომლებიც არიან დაბადებულნი 1900 წელში და შეტანილნი არიან 1. 2 და 3 კომისარიატების გაწვევის სიებში.**

8 და 9 თებერვალს, სამშაბათს და ოთხშაბათს უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომლებიც არიან შეტანილნი **მე-4, 5, 6 და 7 კომისარიატების გაწვევის სიებში.**

10 და 11 თებერვალს, ხუთშაბათს და პარასკევს უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომლებიც არიან შეტანილნი **მე 8 და 9 10 კომისარიატების სიებში.**

12 და 13 თებერვალს, შაბათს და კვირას, უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომლებიც არიან შეტანილნი **მე 11, 12, 13 კომისარიატების სიებში.**

14 თებერვალს, ორშაბათს უნდა გამოცხადდნენ ის პირნი, რომლებიც არიან დაბადებულნი 1899 წ. და წარსულ 1919 წ. ქ. თფილისის მიმღებ კომისიის მიერ გადაედოთ ჯარში მიღების ვადა ერთის წლით, **როგორც საშუალო სასწავლებლების მოწაფეთა ან ჯანმრთელობის სისუსტის გამო.**

15 თებერვალს, სამშაბათს, უნდა გამოცხადდნენ ის ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრები ახალგაზრდა პირნი,— **რომლებიც არიან დაბადებულნი 1900 წ.** და რაიმე მიზეზისა გამო არ **არიან ჯარ შეტანილნი გაწვევის სიებში** და აგრეთვე ქ. თფილისში დროებით მცხოვრებნი ის პირნი, რომლებიც თუმცა არიან შეტანილნი სხვა მაზრების გაწვევის სიებში, მაგრამ მათ, თანახმად გენერალური შტაბის განკარგულებისა, არა უგვიანეს ა/წ. 10 იანვრისა თფილისის სამხედრო ნაწილის განყოფილებაში წერილობით განაცხადეს თავისი სურვილი თფილისის მიმღებ კომისიაში გამოცხადებისა და ამ ვადაზედ წარადგინეს: 1) ამონაწერი თავის თავზე გაწვევის სიიდან და 2) პირადობის მოწმობა სურათით.

მიმდინარე წლის ჯარში გაწვევის დროს მოქალაქეთ უნდა მიიღონ მხედველობაში:

1. ყოველი გაწვეული ახალგაზრდა მოვალეა უეჭველათ ზემოაღნიშნულს ვადების მიხედვით, გამოცხადდეს მიმღებ კომისიაში და თან იქონიოს გასაწვევი უწყება, მიღებული სათანადო კომისარიატიდან.

2. საშუალო სკოლის მოწაფენი, რომლებიც წარმოადგენენ დანიშნულ ვადაზედ სათანადო მოწმობებს, სასწავლებლის უფროსებისაგან, სამხედრო ბეგრის მოხდის ვადა გადაედებათ 21 წ. შესრულებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაუყონებლივ იქნებიან ჯარში გაწვეულნი.

შენიშვნა: უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს არა აქვთ უფლება ჯარში გაწვევის ვადის გადიდებისა და ამიტომ ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ მიმღებ კომისიაში.

3. **არავითარი სამსახური,** არც კერძო, არც სახაზინო, არც მთავრობის დაწესებულებებში, არც სახალხო გვარდიაში და არც მილიციაში **არ ანთავისუფლებს მოქალაქეთ ჯარში** გაწვევისაგან, ამიტომ ყველა ამ დაწესებულებათ [illegible] დროზე გაუსწორონ ანგარიშები ახალ გაწვეულთ.

4. ყველა ახალ გაწვეული მოქალაქე მოვალეა დაუყონებლივ მოაწესრიგოს თავისი კერძო, შინაური და სამსახურის საქმეები, ვინაიდან იგი დანიშნულ დროს კომისიაში გამოცხადების და შემოწმების შემდეგ გაიგზავნება საკრებ. პუნქტიდან პირდაპირ ჯარის ნაწილში და არავითარი პირადი ან წერილობითი განმარტება არ იქნება მიღებული მხედველობაში.

5 თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წ. 2 აგვისტოს მიღებულ დეკრეტისა, შესახებ სამხედრო ბეგრის აუსრულებლობის და ამ დანაშაულის დაფარვისა და წაქეზებისა, თუნდაც წამქეზებელი და დამხმარე მშობელი ან სხვა მახლობელი ნათესავი იქმნეს, **დამნაშავენი დაისჯებიან იმ წესით,** რომელიც აღნიშნულია ხსენებულ დეკრეტის 1, 2 და 3 მუხლებში.

26 იანვარის 1921 წ. ქ. თფილისი.

თფილისის ქალაქის გამგეობა.

ს.-დ. პარტიაში

(საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის 1920 წლის მოღვაწეობის ანგარიში).

კოლექტივის არჩევნები მოხდა 5 თებერვალს 1920 წელს. არჩეული იყო 26 ამხანაგი. კოლექტივში შედიოდენ სათათბირო ხმის უფლებით მომარაგების სამინისტროს საწყობის ამხანაგ მუშების წარმომადგენელი, რესპუბლიკის ცენტრალ ეკონომიურ საზოგადოებისა და მუშათა მაგიდის [illegible] წარმომადგენელი. სათათბირო ხმით შემოდიოდენ აგრეთვე ახალგაზრდა მარქსისტთა და ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი.

მთელი წლის განმავლობაში კოლექტივს მოხდინა 34 კრება: ჩვეულებრივი 2, და მცირე კოლექტივებთან გაერთიანებული 4. საერთო კრება მოწვეული იყო ოთხჯერ. მომხსენებლად მოწვეულ იყვნენ: ამხ. ნოე რამიშვილი, ირ. წერეთელი, ივ. [illegible], ნ. ხომერიკი, ბაქრაძე და სხვები. გაირჩა სხვადასხვა კითხვები: პოლიტიკური, ეკონომიური და პრაქტიკული ორგანიზაციული ხასიათისა, სახელდობრ: შრომის ხელშეკრულების შესახებ, ბოლშევიკური პროკლამაცია, ფაბრიკა-ქარხნებში პარტიულ ორგანიზაციების მოწყობა, სარეზერვო ჯგუფის დაარსება, მუშათა კოოპერაცია, პარტიული ინსტრუქტორების მოწყობა, ლიტოველების ჩამოსვლა თფილისში, გაზეთი „ახალი სხივი“, მუშათა კომუნები, სომხური გაზეთი „ბანვორი ძაინის“ შესახებ, მუშებისთვის იაფი გაზეთი, სამღვდელოების გამოსვლა და სხვა.

1921 წლის 1 იანვრისათვის რაიონში ითვლება 2213 წევრი.

მოწყობილია 7 მცირე კოლექტივი: არსენალში, ერთობის უბანში (რომელიც ამ ბოლო ხანებში ცოტათი მოიკოჭლებდა, მაგრამ კოლექტივის წყალობით ეს ეხლა გამოცოცხლდა და ისევე აწარმოებს ჩვეულებრივ მუშაობას.) კუკიაში, ჩუღურეთში, ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოში, რკინის გზის სამმართველოში და ტრამვაიში. საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირში დაარსებულია სოც.-დემოკ. ფრაქცია, რომლის წევრებათ ითვლებიან ნაცდი მუშა-მოსამსახურენი.

რესპუბლიკის ოფიცერთა ეკ. საზ. და მუშათა მაგიდის მოსამსახურეთა შორის ახლად დაარსდა იაჩეიკა, არის აგრეთვე ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია, რომელიც ენერგიულ მუშაობას აწარმოებს და ცდილობს თავის გარშემო შემოიკრიბოს ფაბრიკა ქარხნების ახალგაზრდა მუშები და სისტემატიური მეცადინეობით ხელი შეუწყონ მათ განვითარების საქმეს.

ახალგაზ. მარქ. წევრთა რიცხვი ჩვენს რაიონში 250 კაცამდე აღწევს. არის მოწყობილი ქალთა ორგანიზაცია, რომლის წევრთა რიცხვი 500 დეა.

როგორც საერთოდ ყოველგან, კოლექტივის მუშაობას ხელს უშლიდა აქტიურ მომუშავე ძალების ნაკლებობა. მდივნების მოქმედებაც მათზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო შორს ვერ მიდიოდა, რაც არა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს და მომავალში საქმე ამ მხრივ უსათუოდ უკეთ უნდა მოგვარდეს.

მიუხედავათ ზემო ჩამოთვლილ მიზეზებისა, კოლექტივმა მაინც შესძლო მუშაობის წარმოება და მისი ასე თუ ისე ჯეროვან ნიადაგზე დაყენება.

ფაბრიკა ქარხნებში და უბნებში იმართებოდა პარტიული და მასიური კრებები, კითხულობდა მოხსენებები და ირკვეოდა ესა თუ ის საჭირბოროტო კითხვები, მაგალითად, არსენალში: ნ. რამიშვილმა, კ. გვარჯალაძემ, მ. ტოროშელიძემ გააკეთეს მოხსენებები, შემდეგ თემებზე: ევროპის მუშათა მოძრაობაზე, მიმდინარე მომენტზე და რესპუბლიკის მდგომარეობაზე ჩუღურეთში, ტრამვაიში, ენფიაჯიანის, კოჩრტას, საფაროვის ქარხნებში და ერთობის უბანში, ს. მაჯავარიანმა, სეით დევდარიანმა, მ. ხოშლავამ და ის. რამიშვილმა. მიმდინარე მომენტზე, მუშათა მდგომარეობაზე, საუბარი სოციალიზმზე და რესპუბლიკის მდგომარეობაზე.

კულტურული მუშაობის მოწესრიგებას კოლექტივმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. რომ უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო ეს მუშაობა, ჯერ კიდევ 1919 წ. კოლექტივმა გაიფართოვა მცირე კოლექტივების თვითმოქმედება. მცირე კოლექტივების ხელმძღვანელობით არსებობს სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება, სამკითხველო, იმართება წარმოდგენები და საზოგადოდ მცირე კოლექტივები სათავეში უდგანან ყოველგვარ კულტურულ მუშაობას თავ-თავიანთ უბნებში; არსენალში, რკინის სამმართველოში, ტრამვაიში და ავჭალის აუდიტორიაში (რომელიც კუკიის მცირე კოლექტივების ხელშია) იმართება წარმოდგენები და იკითხება მოხსენებები და ლექციები. ერთობის უბანში სახალხო გვარდიის შტაბთან ერთად კოლექტივი ხელმძღვანელობს ყველა დემოკრატიულ და კულტურულ დაწესებულებებს.

მეორე რაიონის პარტიის წევრებს შეადგენს გარდა ფაბრიკა ქარხნების მუშებისა შემთხვევითი ელემენტები, როგორიცაა მაგალითად მოხელეები და წვრილი ვაჭრები.

უნდა ითქვას, რომ ასეთი წევრთა შემადგენლობით ვერ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები პარტიული მუშაობის ინტენსიური წარმოებისათვის, ვინაიდან ხსენებული პირები ნაკლებათ ასრულებდენ პარტიულ ორგანიზაციის ელემენტარულ მოთხოვნილებას, თავის დროზე არ იხდიდენ პარტიულ გადასახადს, ნაკლებათ ან სრულებით არ ესწრებოდენ კრებებს და სხვა, ამიტომ პარტიულ მუშაობის წარმოებაში კოლექტივი ფაბრიკა ქარხნებისა და რაიონში არსებულ ზოგიერთ დაწესებულების მუშებს ეყრდნობა. წლის განმავლობაში უნდა შემოსულიყო საწევრო გადასახადი 150,000 მ., ნამდვილათ კი შემოვიდა 95,657 მ., გადაუხდელი თანხის რაოდენობა დახლოვებით უდრის 50,000 მ-ნ.

რაიონში ითვლება შემდეგი ქარხნები: ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხანა, სადაც მუშაობს 300 კაცი, ჩვენი პარტიის წევრია 100 კაცი, ამხ. „კომეტას“ ქარხანა, მუშების რიცხვი 170 კაცს უდრის, ჩვენი პარტიის წევრებია 70 კაცი, საფაროვის თამბაქოს ქარხანა—მუშების რიცხვი 73 კაცამდეა, ჩვენი ამხანაგები 60 კაცი, გარდა ამისა, ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა მთელ რიცხვში, რომელიც 200 კაცამდეა, ჩვენი ამხანაგებია 500 რკინის გზის სამმართველოში ჩვენი პარტიის წევრთა რაოდენობა 300 კაცამდე აღწევს. არსენალში და საარტილერიო საწყობში მუშაობს 1500 კაცი, ჩვენი ამხანაგებია 300 კაცი. კახეთის მევენახეთა საზოგადოებაში 40-დე მოსამსახურეა, ჩვენი ამხანაგია 35 კაცი, ფოსტა ტელეგრაფის მუშა მოსამსახურეებია შორის გვყავს პარტიის 200 წევრი. მუშა მოსამსახურეთა მთელი რიცხვი 900 კაცამდეა, ჩვენი მომხრე 600 კაცი.

რაიონის მთელი წლის შემოსავალი უდრიდა 233,351 მ. და 37 კ., გასავალი 181,312 მ. 37 კ. რჩება კასაში 1921 წლ. 1 ლ იანვრისათვის 52,039 მ.

თედ ხუხუნაიშვილი.

მუშათა შორის

ქ. ბორჯომი. 10 იანვარს ბორჯომის სახელმწიფო მამულის ხის-სახერხ ქარხნის მუშებმა, მუშათა პროფესიონალურ კავშირის დამოუკიდებლათ გამოაცხადეს გაფიცვა. გაფიცვა მოიცვა მთელი მამულის საწარმოო დარგებს. მუშათა პროფესიონალურ კავშირმა მიმართა გაფიცულ მუშებს დაუყოვნებლივ მოეხსნათ გაფიცვა, მაგრამ მუშებმა სასტიკი უარი განაცხადეს გაფიცვის მოხსნაზე მანამდის, სანამ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ. ისინი მოითხოვდენ ჯამაგირების ასი პროცენტით გადიდებას, ერთდროული დახმარებას ნატურით, რა სახითაც აქვს მთავრობას მიღებული და სულზე ორი გირვანქა პური, ეს მდგომარეობა ეცნო აღმასრულებელ კომიტეტს. მესამე დღეს აღმასრულებელ კომიტეტიდან კავშირმა შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „ხელმძღვანელ ორგანიზაციების მიერ მიღებულია ზომები არსებული ხელფასის ორმოცდაათი პროცენტით გაადიდონ პირველ იანვრიდან, დაურიგონ სულზე გირვანქა ნახევარი პური ოცი იანვრიდან, შაქარი რეგულიარულად, ერთდროული დახმარება ათი ათასი მანეთით—ფართლეულობის სახით ყველასთვის. ამასთანავე განზრახულია ჯამაგირებით ჩამორჩენილი კატეგორიების გათანასწორება, საარსებო მინიმუმის გადიდება. როცა პურისა და შაქრის დარიგება არ მოხერხდება სამაგიეროთ ფულით დაკმაყოფილდებით. ამასთანავე წინადადებას გაძლევთ გაფიცვა დაუყონებლივ მოხსნათ, კავშირმა ამ დეპეშის მიღებისთანავე მოიწვია საერთო კრება 14 იანვარს და გააცნო მას დეპეშის შინაარსი.

კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც მუშები ნდობას უცხადებენ როგორც მთავრობას ისე აღმასრულებელ კომიტეტს და აღუთქვამს მათ ყოველივე დახმარებას. ამასთანავე კრება მოითხოვს დაკმაყოფილებულ იქნას მისი მოთხოვნილება 20 იანვრამდის.

ბორჯომის მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ 13 იანვარს სხდომაზე დაჰგმო ბორჯომის მუშების ასეთი საქციელი და კავშირის დაუკითხავათ გაფიცვა.

ილგ.

პროვინციაში

ს. მეჯვრისხევი (გორის მაზრა) შესამე წელიწადი სრულდება რაც მეჯვრისხევში საძირკველი ჩაეყარა თემის ორგანიზაციას. დღიდან დაარსებისა მას თან დაჰყვა უსახსრობა და დემოკრატიის მტრების ინტრიგა. ეს ინტრიგანები თავიანთი პრესტიჟის ასადგენად მთელი თავისი ძალ ღონით ილაშქრებდენ თემის გამგეობის წინააღმდეგ. ამ მიზნით მათ რამოდენიმე საჩივარი გაგზავნეს თემისა და მის გამგეობის წინააღმდეგ, ჯერ გორის ერობაში და შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაგრამ ყოველთვის კუდით ნაცარში უვარდებოდათ და ამ ჟამად ქინის მოსაკლავად და გულზე მომდგარ ბოღმების გასაქარვებლად დრო გამოშვებით ჩხირ-კედელაობენ. მიუხედავად ამისა ენერგიული, დაუღალავი და თავგანწირული თემის გამგეობის მუშაობამ, ნაყოფი გამოიღო. მან შესძინა საზოგადოებას ყოფილ მემამულე დ. ერისთავის შენობა თავისი ხილის ბაღით, რომელიც მდებარეობს შუა სოფელში. 2) გახსნა საწყობი, საიდანაც ხალხს ეძლევა ხორბალი აწლოდელ ფასებში რაც კი მოიპოვება მაღაზიაში. 3) მოაწყო სასადილო, სადაც ყველა მოქალაქეს (ნამეტნავად მოსულს) საშუალება ეძლევა ისარგებლოს სადილით. 4) მოაწყო ტრანსპორტი, რისთვისაც შესძინა საზოგადოებას ცხენები და ეტლები 5) გახსნა და სამაგალითოდ შეკეთა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. 6) მოაწყო სასამართლო, რომელსაც დაუთმო შუა სოფელში კარგი შენობა. განსაკუთრებული ყურადღება კი თემის გამგეობისა მიპყრობილი იყო და არის სწავლა-განათლებაზე, რისთვისაც გახსნა მთელი რიგი სასწავლებლებისა და შეძლებისდაგვარად მოაწყო იგინი ბინით, შეშით, განათებით და სხვა...

ამ ჟამად არსებობს სასწავლებლები შემდეგ სოფლებში: 1) [illegible] 3, პატარა მეჯვრისხ[illegible] ბანში, 3, აძვში, 5, ზერტ[illegible] ბალში, 7) ბეროშეთში, 8 [illegible] ძო ინიციატივით დაარსებულ[illegible] რეთვე მეჯვრისხევშივე უმაღ[illegible] ველ-დაწყებითი სასწავლებელ[illegible] ლა ამის შემდეგ უსაფუძვლო[illegible] ბული არის ითქვას რომ [illegible] თემა არაფერი გააკეთა, [illegible] ხალხს არ ემსახურება. დრო[illegible] გვარ „რაინდებს“ თავიანთი [illegible] მიის შერცხვეთ.

წერილი რედ. [illegible]

მოქალაქე რედაქტორო! გ[illegible] „ერთობის“ ფურცლებზე ა[illegible] მოთ შემდეგ წერილს:

„ვინაიდან არა კეთილსინდ[illegible] პირები განგებ ავრცელებენ [illegible] ამბებს იმ ინციდენტის შესახებ, [illegible] ლსაც ადგილი ჰქონდა გასული [illegible] 27 დეკემბერს ჩემსა და მოქალაქე [illegible] დავითის ძე იანქოვს შორის, [illegible] შემდეგს: მე არა ერთხელ მოვითხოვე მოქალაქე იანქოვისაგან ინციდენტის ლიკვიდაცია გარეშე პირთა ჩაურევლად და რამდენჯერ გამოვიწვიე ის. მაგრამ ის პასუხის ნაცვლად დღემდე მემალება მითითებს რაღაც დახმარებაზე და საქმე გადააქვს ისეთ პირებზე, რომელთადმი მიმართვა დაუშვებელია. ბოლოს და ბოლოს იძულებული ვარ დავადასტურო, რომ მოქ. იანქოვს არ ძალუძს პასუხი აგოს თავის არა გონიერ უტაქტიკო მოქმედებებზე, ის გაურბის თავის მოქმედების შედეგებს—ამიტომ ზემოხსენებულ ინციდენტს დამთავრებულათ ვსთვლი.

პეტრე ქვარცხავა.

დედათა და ბავშვთა მფარველი საზოგადოება

(დღის ანგარიში 1920 წ 24 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე).

შემოსავალი. 24 ნოემბერს სახაზინო თეატრში გამართულ წარმოდგენიდან შემოვიდა: 1) შემოწირულებები 306253 მან. 2) კონფეტების გაყიდვით 22,805 მან 3) პროგრამების გაყიდვით 33,250 მან. სულ—362 308 მ. ყულაბებით შეგროვდა 393,770 მ. ამ თანხაში შედის 14.310 მ. ყალბი და გამოუსადეგარი. სახელმწიფო თეატრში 1 დეკემბრს გამართულ სიმფონიურ საღამოდან შემოწირულებები 417.445 მ. 2) პროგრამის გაყიდვიდან 25 900 მ. სულ—443 345 მან. ლატარიიდან—136 750 მან. შემოწირულებები ნივთებით ფულით და გამოკლებით—1.092.472 მან ბ-ნ ტერ ხაჩატუროვისა და ქ-ნ აფხაზის ხელით მიღებულია: ვალენცოვის ქარხნიდან 1 ყუთი საპონი, თაიროვის აქციონერ საზოგადოებიდან, ალიხანოვისა და ტოლლესაგან 2 ფ. საპონი, 1 ფუთი პურის ზეთი, 1 ფუთი გიგროსკოპიული ბამბა ზლატოგორსკიდან, ქერომას—2 ფ. საპონი ქ-ნ ე. ვ. წულუკიძისაგან მიღებულია: კარდანახი 10 ბოთლი, ჩხაბაია—25 ბოთლი, „არგო“ 50 ბ (2 ბოთლი კონიაკი) ხელმოწერილი ფურცლებით—ქ-ნ ს. ე. წერეთლისაგან 74 000 მ. ნ., ტერ ხაჩატურისაგან—50 000 მან., ქ-ნ შჩეპეტოვისაგან - 103 000 მან. აფხაზისაგან—501 000 მან. ქ-ნ მილოვისაგან—180 600 მ. გამოკლება აპპოლო—16 145 მან. კინოპალასი 15 576 მ.ნ. 25 კაპ. ქართული კლუბი—43.709 მან. აფრატო და მინიონი—309 042 მან. მეფისტო—10 000 მან. 5 დეკემბერს ქართულ კლუბში გამართული სადილი—კაბარე—1) მაგიდებიდან 282.900 მან. 2) ბუფეტიდან—43,709 მან. კრიუშინიდან 65 500 მან. სულ—392.109 მან. აუქციონი სადილი კაბარეზე: 1) კარლ კაუცკის სახელობის სტიპენდია საზოგადოებაში—1.968 500 მან. 2) ცენტროიდან—47.100 მან., სულ 2 015 600 მან. ამ ჯამში არ შესულა შემოწირულებები, რომელიც ჯერ კიდევ არ შემოსულან საზოგადოების კასაში (გამრეკელისაგან—50 000 მან. თაიროვისაგან—25 000 მან. ვიდალისაგან—250 000 მ ნ სულ 325 000 მან. მთელი შემოსავალი - 4.836.354 მანეთი. გასავალი: 1) თეატრის ქირა—200 000 მან. 2) სახელმწიფო გადასახადი—30 625 მ. 30 კაპ. 3) განცხადებები გაზეთებში—25.910 მან. 4) ყულაბებზე გასაკრავ ქაღალდებისათვის—3.250 მან. 5) გასავალი ლოტერეის მოსაწყობათ—10 085 მან. 6) სიმფონიურ საღამოს მოსაწყობათ—49,180 მანეთი. 7) სადილი—კაბარე—103 765 მან. 8) წარმოდგენა—59 813 მან. სულ 482 628 მან. 30 კაპ. წმინდა შემოსავალი 4,353.725 მან. 70 კ.

დედობისა და ბავშვთა მფარველი საზოგადოების გამგეობა მადლობას უძღვნის ყველა იმ მოქალაქეთ, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს საზოგადოებას თავიანთი შრომით, ფულით, სანოვაგით და ნივთებით. მხოლოდ საერთო თანაგრძნობით შესაძლებელია ის ძნელი სამუშაო, რომელიც თავის თავზე აიღო საზოგადოებამ ბავშვთა და დედათა დახმარების აღმოჩენით.

რედაქტორი [illegible]

განცხადებანი

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სისტემის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—12 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 12—1 ს დღის. 5—6 საღ. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 22—თებ.

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914“ და „606“ შეშხაპუნება) კანის, ვენერიული და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დღის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი). (7 თებ.)

ქალის ექიმი
ე. ც. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (11 თებ.)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606“ და „914“), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების [illegible] ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 [illegible] (13 თებ.)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. [illegible]ანოვის ქ., 26, ტელეფ. 7—91 (1 თებ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფებს დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), მუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 13—95. (7 თებ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნევრასთენია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით, პარალელურად). მიღება დილით 10 12 სან. ს საღ. 5 7 საათამდე 16—თებერ.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—[illegible] და [illegible] ლისა. იღებს ახალ რენტგენ-[illegible] კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
28 იანვ.

ექიმი
ანდრია მიხეილის ძე
ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
22—თებ.

ქ. მ. ფართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. ღარიბები უფასოთ. (29—თებ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკიელისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 14[illegible] პროჟექტორ „აპოლოს“ [illegible] ტელეფ. № 5—97 დასაწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—თებ.)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—[illegible] საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღის ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20 (22 თებ.

ბორჯომის ჭიქები
ბითუმად და ნაწილ ნაწილად გაიყიდება კვირას დეზერტირების ბაზარზე, მთავარი ქ., შუშის მაღაზია. თითო ჭიქა ღირს 150 მ, ყუთებით—135 მან.
(366 2—1)

განცხადება
პირველი ქვეითა ბრიგადის ინტენდანტის სამმართველო ამით აუწყებს, რომ თებერვალს 1921 წ., დილის 11 საათზე სამმართველოში (ქალ. ქუთაისი გოსპიტალის ქუჩა) დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
იჯარით პურის გამოცხობის გასაცემათ პირველი ქვეითა ბრიგადის ნაწილების საჭიროებისათვის. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა მსურველებმა უნდა შემოიტანონ სამმართველოში განცხადება არა უგვიანეს 7 თებერვლისა წინააღმდეგ შემთხვევაში ვაჭრობაში დაშვებულნი არ იქნებიან. ვაჭრობა იქნება სიტყვიერი. პირობების გაცნობა შეიძლება ინტენდანტის სამმართველოში ყოველ დღე ნაშუადღევის 3 საათამდე.
(354—1—1)

განათლების სამინისტროს გამგებლობაში მყოფი
ქართული
ბუხჰალტერიის კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
მოთავსებულია მიხეილის პროსპ., № 24. ნახვა შეიძლება დილის 10—12 ს. და საღ. 4—6 საათ.
(20—5—5)

[illegible] სტამბა [illegible] №,